# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.
ოთხშაბათი, 13 თებერვალი, 2013 წელი.
№27 (7154)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## სააკაშვილის ვერშემდგარი მონოლოგი,

ანუ ავლაბრის რეზიდენციით შემოფარგლული „პირველი პირის" სიყინჩე

3



### ირაკლი ბათიაშვილი:

## სააკაშვილის ბანდის ვიწრო წრეში ოქტომბრამდე ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციაზეც კი მსჯელობენ

4

## „ავსა კარგად ვერვინ შესცვლის..."

5



## საიდუმლო ოპერაციები და საქართველო

2




## იდეოლოგიურად – „კოჰაბიტი", პოლიტიკურად – „დავნობიტი", პერსპექტივაში – თარჯიმანი

5

6

## „პაფრთხილებდით ჩინოვნიკებს, მოსამართლეებს, პროკურორებს – მოვა დრო, დაგჭირდებით ნორმალური ადვოკატებიო"



## „მამობრივი დარიგებანი" დედათა მონასტრიდან



9



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ინფორმაცია**

## არასაპარლამენტო პარტიები კონსტიტუციაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შექმნას ითხოვენ



**არასაპარლამენტო** პარტიები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს მიმართავენ .

როგორც მათს ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი, „ყველა წინა მოწვევის პარლამენტში, კონსტიტუციურ და საარჩევნო კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით მოქმედებდა სამუშაო ჯგუფი, სადაც წინასწარი კონსულტაციების შემდეგ ხდებოდა ცვლილებათა პაკეტის მომზადება და პარლამენტისთვის წარდგენა: 2006-2007 – ეუთოს შუამავლობით; 2009-2010 – NDI-ს შუამავლობით; 2010-2011 – IFEI-ს შუამავლობით და სხვა.

– მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია, კვლავ შეიქმნას მსგავსი ფორმატის ჯგუფი (კომისია), რომელიც განიხილავს საარჩევნო, საკონსტიტუციო და სხვა ორგანულ კანონებში ცვლილებებს და რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას მიიღებს არასაპარლამენტო ოპოზიციაც, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ შემდეგი პარტიების ლიდერები: „ახალი მემარჯვენეები“ – ფიქრია ჩიხრაძე; „ევროპელი დემოკრატები“ – პაატა დავითაია; „თავისუფალი საქართველო“ – კახა კუკავა; „სამართლიანი საქართველო“ – სერგო ჯავახიძე; „ტრადიციონალისტთა კავშირი“ – აკაკი ასათიანი; „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ – გიორგი თარგამაძე.

## დონაძე „ვიდეოპატრულის“ ჟურნალისტს ლიკვიდაციით ემუქრებოდა

**ბუტა რობაქიძის** დედა ია მეტრეველი „ვიდეოპატრულის“ ყოფილი ჟურნალისტის გოჩა მუკბანიანის ჩვენებებს მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

როგორც გოჩა მუკბანიანთან ერთად გამართულ ბრიფინგზე ია მეტრეველმა განაცხადა, სასამართლოს მხრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილი უფროსის გურამ დონაძის 25 ათასლარიანი გირაოთი გათავისუფლება სამარცხვინოა. მეტრეველის თქმით, რვა წლის მანძილზე დონაძეს არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი.

ბრიფინგზე გოჩა მუკბანიანმა რობაქიძის მკვლელობის დეტალებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მაშინ, როცა ის შემთხვევის ადგილის გადასაღებად მივიდა, რობაქიძე ცოცხალი იყო და მანქანაში, რომელშიც ბუტას მეგობრები იყვნენ, იარაღი არ იყო.

– შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ დონაძე და მიქაძე. მათ მანქანაში ჩაგვისვეს მე და ჩემი ოპერატორი ვაწაძე და გადაღებული კადრები წაგვიშალეს. იმავე საღამოს დონაძემ დამიბარა კაბინეტში და მითხრა, რომ თუკი ამ ამბავზე რაიმე ზედმეტს ვიტყოდი, ჩემს გვამსაც ვერ იპოვიდნენ და ეს მარტო მისი ინტერესი არ იყო, – აცხადებს მუკბანიანი.

მისივე თქმით, იგი „ვიდეოპატრულიდან“ 2009 წელს წამოვიდა და მასზე და მისი ოჯახის წევრებზე დონაძის მხრიდან დღემდე ზეწოლა მიმდინარეობს.

## ბათუმში ავტობუსების მძღოლები გაიფიცნენ

**ბათუმში** მუნიციპალური ავტობუსების მძღოლები ისევ გაიფიცნენ. 350 მძღოლი გუშინ დილიდან ავტოფარეხთან შეიკრიბა და ხელფასის მომატება მოითხოვა.

როგორც მძღოლებმა აღნიშნეს, მათი საათობრივი ანაზღაურება 3 ლარსა და 80 თეთრს შეადგენს, რაც საერთო ჯამში მცირე თანხა გამოდის. ისინი საათობრივი ანაზღაურების 4 ლარსა და 50 თეთრამდე გაზრდას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში აქციის შეწყვეტას არ აპირებენ.

– რამდენიმეჯერ მოგვატყუეს, ახლა იძულებულები გავხდით, მიგვემართა ამ უკიდურესი ზომისთვის და მანამდე არ შევწყვეტთ აქციებს, ვიდრე არ დაგვაკმაყოფილებენ, – აღნიშნა ემზარ გოგიტიძემ.

ბათუმში ავტობუსის მძღოლებმა გამაფრთხილებელი აქცია ადრეც გამართეს და ხელფასების მომატება მოითხოვეს.

**ინტერპრესი**




**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო**

# საიდუმლო ოპერაციები და საქართველო




**11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან 50-ზე მეტი ქვეყანა თანამშრომლობდა ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების შეპყრობის, საიდუმლო საპატიმროებში დაკითხვისა და საიდუმლო გადაცემის სახით. ამის შესახებ საუბარია ანგარიშში, რომელიც ნიუ-იორკში არსებულმა ადამიანის უფლებადამცველმა „ღია საზოგადოებამ“ გამოაქვეყნა. ანგარიშის თანახმად, რომელიც 136 საქმეს ეყრდნობა, დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მიზანი იყო ეჭვმიტანილების გადაგზავნა ისეთ ადგილებში, სადაც მათგან ადამიანის უფლებათა დარღვევით ხდებოდა ჩვენებების მიღება. დოკუმენტში მოხვდა საქართველოც, რომელმაც 2000-ან წლებში რამდენიმე ეჭვმიტანილი ტერორისტი გადასცა ამერიკის დაზვერვას.**

ახალი ანგარიში, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტიდან 10 წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ გამოქვეყნდა, ყოველმხრივ აღწერს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყველაზე უფრო გასაიდუმლოებულ პროგრამას. კვლევაში შესული და გაერთიანებულია ამ პროგრამის მსხვერპლის, ტერორიზმში ეჭვმიტანილი იმ 136 პირის საქმე, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დააკავეს და კანონის გვერდის ავლით გადასცეს დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს აგენტებს. ორგანიზაცია „ღია საზოგადოების“ ანგარიშის ავტორი ამრიტ სინგჰი ამბობს, რომ დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს საიდუმლო პროგრამაში უცხო სახელმწიფოს ხელისუფლებათა მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ აშშ-თან ერთად მათაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირთა უფლებების ხელყოფაში:

**„ანგარიში ცხადყოფს, რომ 54 ქვეყნის ხელისუფლებები სხვადასხვა სახით თანამონაწილეობდნენ ამ პროგრამაში, მათ შორის, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიას უთმობდნენ საიდუმლო ციხეებისათვის, აწვდიდნენ სადაზვერვო ინფორმაციებს, რომლის საფუძველზეც აპატიმრებდნენ ეჭვმიტანილებს და გზავნიდნენ მათ სხვადასხვა ადგილებში. არსებობდა მრავალი სხვა ფორმაც, რამაც ეს სახელმწიფოები მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე ისეთი საქმიანობის თანამონაწილეებად აქცია, რომლის დროსაც წამებაც გამოიყენებოდა“.**

სინგჰმა ჩამოთვალა ის ქვეყნები, რომლებიც, ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ფაქტების თანახმად, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობდნენ.

ავღანეთსა და რუმინეთში არსებობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხეები; აზერბაიჯანი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, მაკედონია და უზბეკეთი კი საკუთარ ტერიტორიას უთმობდნენ იმ თვითმფრინავებს, რომლებითაც ხდებოდა ეჭვმიტანილი ტერორისტების ტრანსპორტირება; ხოლო იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებს უშუალოდ გადასცეს ეჭვმიტანილი ტერორისტები, საქართველო, აზერბაიჯანი, მაკედონია და ირანი აღმოჩნდნენ. უსაფრთხოების საკითხების ქართველი ექსპერტი, უშიშროების სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი ბესიკ ალადაშვილი იხსენებს, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების გადაცემა საქართველოდან 2000-იანი წლების დასაწყისში რამდენჯერმე მოხდა:

**„თუ გადავხედავთ სხვა ქვეყნების მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას, მონაცემები საქართველოს შესახებ ერთობ მწირია და, თუ არ მეშლება, მხოლოდ 4 პიროვნების გადაცემას მოიცავს. მახსოვს, მაშინ გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდები. ძალიან აქტიურად გამოიყენებოდა რადიოელექტრონული დაზვერვა და სხვადასხვა მეთოდები ამ პირების დადგენისა და დაკავებისათვის“.**

აშშ-ში დღემდე არ წყდება ცხარე კამათი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ოპერაციების დროს „დაკითხვის დახვეწილი ტექნიკის“ გამოყენების გამო, რამაც ფართო გავრცელება პოვა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დროს და მიზნად ისახავდა აშშ-ის დაცვას მოსალოდნელი ტერორისტული თავდასხმისაგან.

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, ზემოხსენებული ანგარიშის ავტორი ამრიტ სინგჰი არ გამორიცხავს, რომ კვლავ ხდებოდეს აშშ-ის დაზვერვის აგენტებისათვის ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების გადაცემა.

ბარაკ ობამამ თავისი პირველი პრეზიდენტობის დროს აკრძალა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ტერორიზმში ეჭვმიტანილთა გამოტეხის – მათ შორის, დახრჩობის იმიტაციის, ეჭვმიტანილის წყალში ჩაყურყუმალავების – მეთოდების გამოყენება.

კამათმა საიდუმლო ოპერაციების თაობაზე ახალი ძალით იფეთქა მას შემდეგ, რაც დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს დირექტორის თანამდებობაზე ბარაკ ობამამ ჯონ ბრენანი, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დროს სახელმწიფო უსაფრთხოების ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსი წარადგინა. თუმცა, ბრენანი გაემიჯნა ბუშის პერიოდის პოლიტიკას და განაცხადა, რომ იგი არასოდეს უჭერდა მხარს დახრჩობის იმიტაციის მეთოდის გამოყენებას.

**კობა ლიკლიკაძე**
**რადიო „თავისუფლება“**

# ოქტომბრის შემდეგ თანამდებობა ორმოცდაათამდე გამგებელმა დატოვა

**2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან დღემდე საქართველოს მასშტაბით თანამდებობა 46-მა გამგებელმა დატოვა.**

**ამის შესახებ არჩევნების შემდგომ პროცესებთან დაკავშირებით „სამართლიანი არჩევნების“ ანგარიშშია ნათქვამი.**

**ამასთან, ორგანიზაციის ცნობით, 46-დან 44-მა გამგებელმა პოსტი პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა, ხოლო ორმა საკრებულოს გადაწყვეტილებით.**

– ამავე პერიოდში თანამდებობა დატოვა 24-მა საკრებულოს თავმჯდომარემ, მათ შორის, 20-მა საკუთარი გადაწყვეტილებით, ხოლო ოთხმა საკრებულოს გადაწყვეტილებით. 2012 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით (პირველი ანგარიშის გამოქვეყნების დროს) თანამდებობა დატოვებული ჰქონდა 31 გამგებელსა და 16 საკრებულოს თავმჯდომარეს, რაც ადასტურებს, რომ გამგებლებისა და საკრებულოს თავმჯდომარის შეცვლის პროცესი მთელი საქართველოს მასშტაბით ინტენსიურად გრძელდებოდა. მონიტორინგის მეორე პერიოდშიც, პირველი პერიოდის მსგავსად, თანამდებობის პირთა გადადგომას, როგორც წესი, წინ უძღვოდა საპროტესტო აქციები ადგილობრივი მოსახლეობისა და „ქართული ოცნების“ აქტივისტთა მონაწილეობით, რომლებიც აღნიშნულ პოსტებზე თავიანთი კანდიდატების დანიშვნას ითხოვდნენ. მსგავსი აქციები 1-ლი ოქტომბრიდან დღემდე სულ 28 მუნიციპალიტეტში გაიმართა, აქედან 24 შემთხვევაში საზოგადოების პროტესტმა უკანონო ფორმა მიიღო, რაც გამოიხატა ფიზიკურ ანგარიშსწორებაში, შენობაში შეჭრაში, სხდომის ჩაშლასა და შენობების ბლოკირებაში, – ნათქვამია ანგარიშში.

რაც შეეხება გამგებლებისა და საკრებულოს თავმჯდომარეების შემცვლელებს, ორგანიზაციის ცნობით, ახლად დანიშნული თანამდებობის პირები, როგორც წესი, კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილობრივი წევრი ან მხარდამჭერები არიან და ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი კადრების ცვლილებების პროცესში ღიად ერეოდნენ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატები.

– მოიმატა ასევე საკრებულოებში დეპუტატების მიერ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების შემთხვევებმაც. რიგ საკრებულოებში ყოფილმა მმართველმა ძალამ უმრავლესობა დაკარგა, რამაც ავტომატურად გამოიწვია საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის შეცვლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში იმ საკრებულოებშიც კი, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ საკრებულოს წევრთა უმრავლესობას წარმოადგენდა, საკრებულო გამგებლად „ქართული ოცნების“ კანდიდატს ირჩევდა. ტერიტორიული ორგანოს ყველა რწმუნებული შეიცვალა კასპში, დედოფლისწყაროში, საჩხერეში, ახმეტაში, მცხეთაში, თიანეთში, ხობში, ხაშურში და ა.შ. საკადრო ცვლილებები განხორციელდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც, – აღნიშნულია ანგარიშში.

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## შეფასება

# სააკაშვილის ვერ-შემდგარი მონოლოგი,

## ანუ ავლაბრის რეზიდენციით შემოფარგლული „პირველი პირის“ სიყინჩე

*პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძესა და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს შორის გამართული საათნახევრიანი შეხვედრა, ამ ეტაპზე, უშედეგოდ დასრულდა, თუმცა, პოლიტიკურ მხარეებს შორის კონსულტაციები კვლავ გაგრძელდება.*

*„საქმიანი“ შეხვედრის შემდეგ ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც დებატებში გადაიზარდა და ნაწილობრივ ცნობილი გახდა ის საკითხებიც, რაზეც მხარეები დახურულ კარს მიღმა მსჯელობდნენ.*

*კერძოდ, იმსჯელეს საკონსტიტუციო ცვლილებებზე, პარლამენტის თბილისში დაბრუნების საკითხზე, ქვეყნის საგარეო კურსის კონსტიტუციაში ასახვასა და საპრეზიდენტო არჩევნების ფორმატზე, თუმცა, კონკრეტული გადაწყვეტილებები მიღებული ვერ იქნა, დეტალებიც არ დაკონკრეტდა, მაგრამ რამდენიმე გზავნილი მაინც გაკეთდა.*

*ეროვნული ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების გამო „უკიდურესად შეშფოთებული“ მიხეილ სააკაშვილი დისკუსიის პარლამენტის კედლებში გამართვას ითხოვს და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს დიალოგში ჩართვისკენ მოუწოდებს.*

*პრეზიდენტის შეფასებით, დისკუსიამ პარლამენტის კედლებში უნდა გადაინაცვლოს და არა ქუჩებში, რადგან ქუჩებში ჩხუბიდან ბევრად უფრო კატასტროფულ მოვლენებამდე — ნახევარი ნაბიჯია.*



**„მასობრივ ეგზეკუციას ადგილი ციხიდან გამოსულ კრიმინალთა ბანდის მიერ ჰქონდა და არა ხალხის მიერ. ჩვენ ყველანი დაინტერესებულნი ვართ, რომ ეს აღარ განმეორდეს. ისეთ ზღვარზე აღარასოდეს უნდა მივიდეთ, როდესაც საქართველო 90-იან წლებში იყო. ეს იყო ჩვენი პრინციპული მოსაზრება და ჩვენს შეშფოთებას ბატონი დავითი იზიარებს. ვერ იტყვი, რომ ყველაფერზე ჩამოვყალიბდით და შევთანხმდით, მას აქვს თავის პოზიცია, ჩვენ — ჩვენი და, ვფიქრობთ, რომ დისკუსია გაგრძელდება. მთავარია, რომ ასეთი დიალოგი უნდა გაგრძელდეს. განხილვები იქნება როგორც უმცირესობის შიგნით, ასევე უმრავლესობის შიგნით — პრემიერ-მინისტრთან“,** — დასძინა პრეზიდენტმა.

გამოსვლისას პარლამენტის თავმჯდომარემ კი აქცენტი შეხვედრაზე გააკეთა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტის მიერ მთავრობის ფორმირების საკითხზე შეთანხმება გასაღებია ბევრ სხვა საკითხზე შეთანხმების მიღწევისა.

**„დღეს საღამოს, კონკრეტული შეთანხმება მიღწეული არ არის, მაგრამ დაწყებული მოლაპარაკებების პროცესი უპერსპექტივო არაა. ყველა საკითხი გავიარეთ, შეთანხმებადე ჯერ არ ვართ მისული, თუმცა, შთაბეჭდილება რჩება, რომ დაწყებული დიალოგი უპერსპექტივო არ არის და არც ერთი მხარისგან ეს არ არის პიარ-აქცია. სურვილი იმისა, რომ ვითარება დარეგულირდეს და მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე კონსტიტიციური გამოსავალი მოვძებნოთ, ორივე მხრიდან გაცნობიერებულია. დეტალებზე არ და ვერ ვისაუბრებ, თუმცა, საუბრის პროცესში ახალი შესაძლო სქემები და ვარიანტები გამოიკვეთა, რაზეც დაფიქრება საჭიროა“,** — განაცხადა უსუფაშვილმა.

რაც შეეხება 8 თებერვალის მოვლენებთან დაკავშირებით, მიხეილ სააკაშვილის მხრიდან გამოთქმულ ეპითეტს, პრეზიდენტის მოსაზრებას დავით უსუფაშვილი არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ მას იქ კრიმინალთა ბრბო არ დაუნახავს.

**„ჩვენ ამაზე არ ვთანხმდებით და ვერ შევთანხმდებით. იმ აქტით, რომელსაც ხელი მოვაწერე — თავისუფლება სწორედ პოლიტიკურმა პატიმრება და დევნილებმა მიიღეს. საჯარო ბიბლიოთეკასთან კრიმინალთა ბრბო არ დამინახავს, რადგან იქ იყო შეკრებილი ხალხი, რომელიც პროტესტს გამოხატავდა და ამ დროს ადგილი ჰქონდა კანონდარღვევას. რაზეც ვთანხმდებით, არის ის, რომ მსგავსი მოვლენები ქვეყანას არ წაადგება, ვისი მიზეზითაც არ უნდა იყოს ის დაგეგმილი, პროვოცირებული თუ ბოლომდე ყურადღება ვერმიქცეული. ამიტომ, სწორია პოლიტიკური პროცესის სწორედ პარლამენტში გადატანა“,** — დასძინა სპიკერმა.

ამას გარდა, გამოსვლისას, პრეზიდენტს ყურადღების მიღმა არც პრემიერ-მინისტრი დარჩა და ბიძინა ივანიშვილს დიალოგში ჩართვისკენ მოუწოდა.

**„საფრანგეთის კონსტიტუციით, რომელიც ჩვენს საკონსტიტუციო მოდელს ძალიან ჰგავს, პრემიერი ვალდებულია, კვირაში ერთხელ პრეზიდენტთან მივიდეს. დღევანდელი სიტუაცია ნამდვილად საგანგაშოა. მაშინ, როცა ქალაქის ცენტრში ციხიდან გამოშვებული კრიმინალები საპარლამენტო ოპოზიციის ცემა-ტყეპას ახდენენ, ვფიქრობ, რომ ძალიან სერიოზული თემაა იმისთვის, რომ აქ პრემიერ-მინისტრი მოსულიყო“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის ერთობლივი პრესკონფერენცია დებატებში გადაიზარდა და მიხეილ სააკაშვილმა ტრადიციისამებრ თემებს „გადაუხვია“, რის გამოც, მას სპიკერმა გამოსვლა რამდენჯერმე გააწყვეტინა.

კერძოდ, სააკაშვილსა და უსუფაშვილს შორის მცირე შეკამათება მას შემდეგ დაიწყო, რაც სააკაშვილი სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრის გუშინდელ განცხადებას გამოეხმაურა, რაზეც პარლამენტის თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ეს მათი იმდღევანდელი პრესკონფერენციის თემა არ იყო.

**„დღეს მოვისმინე განმარტება, რომ თურმე სახელმწიფო დაცვის სამსახურს უნდა განეხორციელებინა ქუჩაში წესრიგის დაცვა. მსოფლიოს ერთი ქვეყანა მაინც დამისახელეთ, რომელშიც სახელმწიფო დაცვის სამსახური ქუჩაში ამყარებს წესრიგს“,** — განაცხადა სააკაშვილმა, თუმცა, მას დავით უსუფაშვილმა სიტყვა შეაწყვეტინა და შემდეგი შეკითხვით მიმართა — **„ბატონო პრეზიდენტო, ამისთვის შევიკრიბეთ აქ?“,** — უსუფაშვილის აღნიშნული რეპლიკის საპასუხოდ სააკაშვილმა მას ბოდიში მოუხადა, თუმცა, საპასუხოდ აღნიშნა, რომ ის ფაქტების კონსტატაციას ახდენდა და ხელების გადაგრეხვის პოლიტიკას მთავრობა უმცირესობის მიმართ ნამდვილად ახორციელებდა. აღნიშნულის შემდეგ დავით უსუფაშვილმა ქვეყნის პირველ პირს მიმართა, რომ ასეთი საუბრით მათი განცხადებები ტელედებატების ფორმას იღებდა.

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დღეს დაწყებულ კონსულტაციებს პოლიტიკურ წრეებში შეფასებები უკვე მოჰყვა. საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის აკაკი ბობოხიძის შეფასებით, თუ ხელისუფლებას კონკრეტული შედეგის მიღწევა სურს, მოლაპარაკებების პროცესში პრემიერ-მინისტრი უნდა ჩაერთოს, რადგან კოალიციაში გადაწყვეტილებას მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი იღებს.

**„არ ვიცი, დავით უსუფაშვილი რამდენად გულწფელია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ის გულწრფელია და ურთიერთობის ნორმალიზებას ცდილობს. თუმცა, სამწუხაროდ, გადაწყვეტილების მიღებაში მისი როლი ძალიან მცირეა, რადგან გადაწყვეტილების მიმღები მხოლოდ ივანიშვილია და არავინ სხვა. ამიტომ, რაიმე შეთანხმება ვერ შედგება და უსუფაშვილი მხოლოდ ინფორმაციის გაცვლის საშუალებაა. ამასთან, დარწმუნებული ვარ, რომ ის პრემიერთან ინფორმაციას მიიტანს. შესაბამისად, თუ „ოცნება“ დაინტერესებულია, რომ შეთანხმება შედგეს, მასში მონაწილეობა ივანიშვილმა უნდა მიიღოს. მართალია, დიალოგის დაწყება წინ გადადგმული ნაბიჯია და ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ სტატუსის მიუხედავად, უსუფაშვილი, რომელიც ქვეყნის მეორე პირია, გადაწყვეტილებებს ვერ იღებს“,** — განუცხადა for.ge-ს ბობოხიძემ.

ოპონენტისგან განსხვავებით, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ცაგარეიშვილი დავით უსუფაშვილის გამოვლას ღირსეულად მიიჩნევს და აცხადებს, რომ პრეზიდენტს ხელისუფლების გაკრიტიკება ჰქონდა განზრახული, მაგრამ უსუფაშვილი თავს არავის დააჩაგვრინებს და მით უმეტეს სააკაშვილს.

**„ეს გამოსვლა ტელედებატებს უფრო ჰგავდა, ვიდრე შეხვედრას. მიხარია, რომ ამ ადამიანისგან საქართველო მალე გათავისუფლდება, რადგან ავლაბრის რეზიდენციაში სააკაშვილის თითოეული დღე ხიფათის შემცველია. გამოსვლისას როგორ გამოიყურებოდა და თავის მოედანზე პარლამენტის თავმჯდომარის დატუქსვას თუ როგორ ცდილობდა, ეს ნახეთ, მაგრამ იმასაც იხილავდით, როგორი ფერი ედო დავით ბაქრაძეს, რომელმაც, მე მგონი, ნერვიულობისგან ლამის ჩაიმუხლა და კუთხეში, რუხი თაგვივით დადგა. სააკაშვილს ეგონა, რომ თავის მოედანზე სპიკერს დაჩაგრავდა და მთელ საზოგადოებას გააკრიტიკებდა, მაგრამ დავით უსუფაშვილის პასუხი ძალიან ღირსეული, გაწონასწორებული და გააზრებული იყო. საზოგადოებამ კი შეაფასა — ვინ იყო სააკაშვილი და ვინ — უსუფაშვილი“,** — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

დეპუტატის შეფასებით, გამოსვლისას, ნათლად ჩანდა, რომ სააკაშვილი პრემიერზე ნაწყენია.

**„თურმე, ის ძალიან ნაწყენია პრემიერზე, მაგრამ ის დრო დასრულდა, როდესაც, სააკაშვილი გაიღვიძებდა და ჩუსტებს გეგა მგალობლიშვილი, ნიკა გილაური, ან ვანო მერაბიშვილი მიაწოდებდა. ეს დრო წარსულს ჩაბარდა. მართალია, სააკაშვილი თავის წარმოდგენაში პრეზიდენტია და ეს მისი სიყინჩე შემოფარგლულია ავლაბრის რეზიდენციით, როცა მას გაბაშვილი თვალებში შესციცინებს და მასთან ახლოს გაბაშვილი, ბაქრაძე და თაქთაქიშვილი არიან, მაგრამ ის რა გმირიცაა, ეს მაშინ გამოჩნდა, როცა გორიდან თავისი ფეხით გამოიქცა“,** — დასძინა ცაგარეიშვილმა.

**თეონა მანაგაძე**

## „გლეხური სესხების“ სირთულეები

# ფერმერთათვის მისაღები და მომგებიანი იქნება სამომხმარებლო კრედიტები?

**რა სირთულეებს შეიძლება წააწყდნენ ფერმერები აგრარული სესხის აღებისას? უწინარესად, რა თქმა უნდა, ეს იქნება სპეციალური პროექტი, რომლის მეშვეობითაც გლეხებს კრედიტს დაუმტკიცებენ. მეორე კი არის ჩასადები საგარანტიო ქონება. ადგილობრივი ბანკების მადას თუ გავითვალისწინებთ, ფერმერებს ასეთი ქონება, შესაძლოა, სულაც არ აღმოაჩნდეთ, ან თუ ექნებათ, ბანკი მას მიზერულ ფასად შეუფასებს. აქედან გამომდინარე, „გლეხური სესხის“ მოცულობა ერთობ მოკრძალებული იქნება.**

**საინტერესოა, რა მოთხოვნების დაკმაყოფილება მოუწევთ ფერმერებს სამომხმარებლო სესხის ასაღებად და შექმნის თუ არა ბანკებში არსებული სესხის გაცემის პროცედურა ამ კუთხით პრობლემებს?**

სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით კირვალიძის განმარტებით, **იმისათვის, რომ ფერმერებს სამომხმარებლო სესხი დაუმტკიცდეთ, მინიმუმ უნდა წარადგინონ გეგმა, რა მიზნით იღებენ სესხს და რამდენად ადეკვატურად აპირებენ თანხის დახარჯვას.**

კირვალიძის განცხადებითვე, **თუ მსესხებელი ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს, ბანკების მხრიდან პრობლემის შექმნა გამორიცხულია.**

**უკვე ცნობილია, რომ ახალი მთავრობა გლეხებს 5 ათასიდან 100 ათას ლარამდე სამომხმარებლო სესხებს 7-8%-ად ჰპირდება. თანხას კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემენ. რეალურად საფინანსო სტრუქტურები სესხებს ჩვეულებრივი განაკვეთით გასცემენ, ოღონდ გლეხები მცირე ნაწილს დაფარავენ. დარჩენილ პროცენტს სოფლის მეურნეობის ფონდი მოემსახურება.**

აქედან გამომდინარე, **გლეხებისთვის მისაღები უნდა იყოს თუ არა 7-8%-იანი სამომხმარებლო კრედიტები? აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ საფინანსო ორგანიზაციების სასოფლო-სამეურნეო სესხების განაკვეთი 24-32%-მდეა მაშინ, როდესაც ფონდი მაქსიმუმ 8%-იან სამომხმარებლო სესხს გასცემს.**

გიგლა აგულაშვილის თქმით, **სესხების გაცემა სხვადასხვა პარამეტრით განისაზღვრება, თუმცა, ფერმერებმა და გლეხებმა 8%-იანი სესხიც რომ აიღონ, მათთვის მაინც ხელსაყრელი იქნება.**

**სამომხმარებლო სესხზე 7-8%-იანი განაკვეთი მისაღებად მიაჩნიათ სოფლის მეურნეობის ექსპერტებსაც. მათი აზრით, თუკი სახელმწიფო ფერმერებსა და გლეხებს პროდუქციის რეალიზაციის გარანტიას მისცემს, ეს დიდი დახმარება იქნება.**

**მეორე პრობლემაა საბანკო პროცედურები. რამდენად იმყოფინებს გლეხების ქონებას ბანკი საგარანტიოდ? მარნეულის სასურსათო ქარხნისა და კომპანია „ნაბეღლავის“ დამფუძნებელი ავთანდილ სვიმონიშვილი აცხადებს, რომ ბანკები სამომხმარებლო კრედიტებს უზრუნველყოფის გარეშე არ გასცემენ.**

მისი თქმით, **სესხის გაცემის პროცედურები გარკვეულწილად პრობლემებს შექმნის, რადგან ბანკები გარანტად მსესხებლის მიწას, ნაგებობას ან აქტივებს მოითხოვენ. ბანკი ყოველთვის სამჯერ მეტად აფასებს თავის უზრუნველყოფას, ვიდრე მსესხებლის აქტივებია. ამიტომ „გლეხური სესხის“ მოცულობა, შესაძლოა, ძალიან მცირე იყოს და სამეურნეო საქმიანობისთვის საკმარისი არ აღმოჩნდეს.**

**ეკა ბაქრაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**უშიშროების ყოფილი მინისტრი ირაკლი ბათიაშვილი აცხადებს, რომ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული გარკვეული ჯგუფი, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციას გეგმავს. ირაკლი ბათიაშვილი, რა თქმა უნდა, წყაროს არ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ იმ ჯგუფში, სადაც ეს გეგმა მწიფდება, ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ერთი წრე მოიაზრება, რომელთაგან ნაწილი საქართველოში, ნაწილი კი უცხოეთში იმყოფება.**

**თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს არცთუ შორეულ წარსულში, ნაციონალური ხელისუფლების პირობებში, უკვე არსებობს პრემიერ-მინისტრის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების ფაქტი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინაც ზურაბ ჟვანია არ აწყობდა გარკვეულ ჯგუფებს, მისი გარდაცვალება კი კვლავ ბურუსით მოცულია, ყოფილმა ხელისუფლებამ არ იზრუნა საქმის დამაჯერებლად გამოძიებაზე, მხოლოდ ამ ფაქტიდან გამომდინარე ვერ ვიტყვით, რომ მსგავსი ინფორმაცია მხოლოდ შეთქმულების თეორიას შეიძლება ემყარებოდეს.**



# ირაკლი ბათიაშვილი:

# სააკაშვილის ბანდის ვიწრო წრეში ოქტომბრამდე ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციაზეც კი მსჯელობენ

**— ბატონო ირაკლი საკმაოდ ყურადსაღები ინფორმაცია მოგვაწოდეთ, რატომ გადაწყვიტეთ ამაზე საჯაროდ ლაპარაკი?**

— საჭიროდ ვთვლი, რაღაც დონეზე განვასაჯაროო ინფორმაცია, რომელიც, რა თქმა უნდა, გადამოწმებას საჭიროებს. კერძოდ, მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებულ, უაღრესად ვიწრო წრეში, რომელთაგან გარკვეული ნაწილი დღეს საზღვარგარეთ იმყოფება და ზოგიერთი მათგანი ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი მაღალჩინოსანია, აქტიურად განიხილავენ, უფრო სწორად, ჯერჯერობით, მიდის მხოლოდ ლაპარაკი და მსჯელობა ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის შესაძლებლობის თაობაზე.

თუმცა, დაზუსტებით არ არის ლაპარაკი, რომ ეს იქნება დღეს ან ხვალ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საუბარი ეხება იმას, რომ შესაძლებელია (თუ ამაზე საერთოდ სერიოზულად წავლენ), ეს მოხდეს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

**— ბატონო ირაკლი, იმის მიუხედავად, რომ პასუხი წინასწარ ცნობილია, მაინც უნდა გკითხოთ, როგორ გახდა ეს ინფორმაცია თქვენთვის ხელმისაწვდომი?**

— მე მინდა აქვე დავაზუსტო, ძალიან ვეჭვობ, ეს ინფორმაცია არ ჰქონდეთ ისეთი ქვეყნის სპეცსამსახურებს, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი. თავს ვერ დავდებ ამ ინფორმაციის აბსოლუტურ სიზუსტეზე, მის გადამოწმებულობაზე, მაგრამ როდესაც ადამიანი მსგავსი ტიპის, თუნდაც გადაუმოწმებელ ინფორმაციას იღებს, ვალდებულია, მისი განსაჯაროება მოახდინოს.

**— მსგავსი ინფორმაცია ვრცელდებოდა არჩევნებამდეც, ვგულისხმობ ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის ინფორმაციას რაღაც გეგმის შესახებ, შემდეგ ლაფანყურში შეიარაღებული რაზმის შეკრების ერთ-ერთ მოტივად დასახელდა ბიძინა ივანიშვილის შესაძლო ლიკვიდაციის გეგმა, შესაძლოა, ერთსა და იმავე ორგანიზატორებზე იყოს საუბარი?**

— იმ პერიოდში, როდესაც ეს ინფორმაცია გავრცელდა, ჭორის დონეზეც არ მოსულა ჩემამდე მსგავსი ამბავი და ეს გავიგე მხოლოდ მედიასაშუალებების მეშვეობით. ახლა რაზეც გელაპარაკებით, გეუბნებით იმას, რის შესახებაც გარკვეული ინფორმაცია მე მივიღე და თავისთავად, ვალდებული ვარ მისი განსაჯაროება მოვახდინო. თანაც, ეს სავსებით ლოგიკურად მეჩვენება.

**— რა არის ის ლოგიკური მიზეზი, რითაც ამ ინფორმაციის სარწმუნოება მყარდება თქვენთვის?**

— ყოველ შემთხვევაში, იმ ინფორმაციით რაც გამაჩნია, ეს ყველაფერი არის მსჯელობის დონეზე, თუმცა — აქტიური მსჯელობის. არ არის ლაპარაკი დღეს და ხვალ, მაგრამ ლაპარაკია აუცილებლად საპრეზიდენტო არჩევნებამდე. სხვას ვერაფერს გეტყვით.

არ დაგავიწყდეს, რომ ჩვენთან არიან ექსტრემისტულად განწყობილი ელემენტები...

**— ქვეყნიდან გასულები არიან ადეიშვილი, შაშკინი, ზოდელავა... ვის გულისხმობთ, ყოფილი მაღალჩინოსნების რამდენიმე დაჯგუფება იყო...**

— ვერ დავაკონკრეტებ, არიან ასეთები და ფულიც დიდი აქვთ გატანილი. თანაც ძალიან დიდი რაოდენობის ფულზეა ლაპარაკი...

**— გექნებათ, ალბათ, ინფორმაცია, როდის მოასწრეს ამ თანხის გატანა...**

— ჯერ, მარტო, თავდაცვის სამინისტროდან ხელჩანთებით იმ რაოდენობით გაიტანეს ევროები, მილიონობით... სანამ ბაჩო ახალაია იყო თავდაცვის მინისტრი. შემდეგ, არჩევნები რომ წააგეს, მეორე დღეს მოხდა დიდძალი ფულის გატანა, ანუ რესურსები და შესაძლებლობები დიდი აქვთ. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ იმ ინფორმაციით, რაც მივიღე, ლაპარაკია არა გადაწყვეტილებაზე, არამედ იმაზე, რომ ეს თემა აქტიურად განიხილება.

**— ლოგიკურად, იმ შემთხვევაში შეიძლება მიიღონ ასეთი გადაწყვეტილება, თუ მათი პირადი უსაფრთხოების საკითხს რამე დაემუქრება? დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან კეთდება განცხადებები, რომ დაიკითხებიან მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი და სხვები სწორედ ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას საეჭვო გარდაცვალების საკითხზე...**

— მათ უსაფრთხოების გარანტიას ვერავინ ვერ მისცემს და არც არავის არ აქვს ასეთი გარანტიის გაცემის უფლება. როგორ შეიძლება გარანტიები მისცე უსაფრთხოების საკითხებზე? იმდენი სარჩელია შესული მარტო მოქალაქეების მხრიდან... სხვა მომენტებიც არის, ცოტა რთულია ამ ყველაფრის ანალიზი...

**— როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გაკეთდეს პრევენციისთვის?**

— მთავარია უსაფრთხოების გაძლიერება, ეს ერთ-ერთი მთავარი საკითხია...

**— წყარო, ვისგანაც ინფორმაცია მიიღეთ, თქვენთვის რამდენად სანდოა?**

— მე მგონი, ირაკლი ბათიაშვილზე არასერიოზული არაფერი არ გაგიგიათ. ეს ამბავი, ახლა რაც არის ატეხილი, ესეც ხომ ჩემი ინფორმაციის საფუძველზეა. დეკემბერში ეკა ბერიძეს სპეციალურად დავურეკე და მის გადაცემაში განვაცხადე, რომ მთავრობის დათხოვნას აპირებდნენ. ეს თემა მართლა განიხილებოდა მათთან, თუმცა, ესეც არ ჰქონდათ ბოლომდე გადაწყვეტილი.

**— თუ გაქვთ ინფორმაცია, მთავრობის დათხოვნის საკითხი დღის წესრიგიდან ამოვარდა?**

— რაც გახმაურდა ეს ამბავი, მოგეხსენებათ უფრო ძნელია მისი განხორციელება. ისე, გაუწონასწორებელი სააკაშვილისგან გამორიცხული არაფერია. თუ ამათ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ შექმნეს და ვერ მიაღწიეს იმას, რომ აიძულონ და ამ ცვლილებებზე წამოიყვანონ, არ არის გამორიცხული, ისევ რაღაც პროვოკაცია მოაწყოს და მერე თქვას, რომ ახლა ამას უკვე ვეღარ ავიტანთო.

მას შემდეგ, რაც ეს თემა გახმაურდა, უფრო რთულია მათთვის, რომ ეს მექანიზმები გამოიყენონ. როგორ დამთავრდება, მიიღებენ ამ ცვლილებას თუ ვერა, პრეზიდენტის უფლებამოსილების შეკვეცასთან დაკავშირებით, ამას მალე ვნახავთ.

**— თუ გავითვალისწინებთ გურგენ დონაძისა და ოლეგ მელნიკოვის მოულოდნელ სურვილს გამოძიებასთან ითანამშრომლონ, ეს როგორ შეიძლება აიხსნას?**

— ვფიქრობ, მათ შიში აღარ აქვთ, იციან რომ სასამართლო გაუშვებს.

**— ეს იქნება დროებითი, აღმკვეთ ღონისძიებაზეა მხოლოდ ლაპარაკი...**

— ახლა გაუშვებს, მერე შეიძლება, სასამართლომ საერთოდაც გაამართლოს. საქმის არსებითი განხილვა რომ დაიწყება, ამ სასამართლოსგან მოსალოდნელია, რომ ბაჩო ახალაიაც კი გაათავისუფლოს. მით უმეტეს, სერიოზული ბრალდებები ვერ წაუყენეს, სამწუხაროდ. მაშინ, როცა უამრავი ბრალდების წაყენება შეეძლოთ. თუმცა, ბატონი არჩილ კბილაშვილი საკმაოდ მაღალი დონის პროფესიონალია და იმედი მაქვს, თანდათანობით სერიოზულ ბრალდებებს წაუყენებენ. იმდენი საქმეები აქვთ დახვავებული, ალბათ, გარკვეული დროა საჭირო.

**— დონაძემ ისიც თქვა, რომ გარკვეულ მაღალჩინოსანთა დასახელებას აპირებს მოქმედი ხელისუფლებიდან...**

— შს სამინისტრო გაძეძგილია ასეთი კადრებით, რომლებიც გვარბევდნენ, გვიჭერდნენ და ათას რამეში აქვთ გასვრილი ხელი. ღმერთმა არ ქნას, რაღაც დატრიალდეს, გაშლილი ხელით შეხვდებიან ვანო მერაბიშვილს, ეს ხომ ყველამ იცის. ამ მხრივ არასახარბიელო სიტუაციაა. იმას კი არ ვამბობ, რომ ყველა უნდა გაუშვა. ყოფილი ხელისუფლების თანამშრომლები აუცილებლად უნდა შეინარჩუნო. მე თვითონ ვიყავი შეფი და ყოფილი ხელისუფლებიდან უამრავი პროფესიონალი შევინარჩუნე, იმისათვის, რომ ძლიერ პროფესიონალთა ბაზა მქონოდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ისეთი ხალხი შეინარჩუნო, ვისაც სისხლში აქვს ხელი გასვრილი და თანაც შეიძლება ნაღმი იყოს შენთვის ნებისმიერ მომენტში. სახლში რომ მიდის და იძახის, ვანოს გაუმარჯოს მაინცო, ასეთი ხალხი არ უნდა გყავდეს, ეს დინამიტია.

**— როდესაც გამოძიებასთან თანამშრომლობაზე გკითხეთ, ვგულისხმობ, პროკურატურის მიერ სერიოზული გამოძიებების წარმოჩენა რამდენად არის პირდაპირპროპორციული იმისა, რომ ნაციონალებში მთავარი ხელშემშლელის, ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა გადაწყვეტილებად იქცეს?**

— არ მგონია, ეს რაიმე კავშირში იყოს ამ თემასათან. გამოძიება ყველა შემთხვევაში წავა, სწრაფად ან ნელა. აფრასიძეების ოჯახს განცხადება რომ აქვს შეტანილი, ამას იგნორირებას ვერავინ ვერ გაუკეთებს. რობაქიძის, ვაზაგაშვილის, ციხის ბუნტის საქმეებს იგნორირებას ვერავინ ვერ გაუკეთებს. ვალერი გელაშვილის, ჟვანიას საქმეებს იგნორირებას ვერ გაუკეთებენ. იმდენი ახალი და ახალი საქმე ჩნდება, ამ პროცესს ვერავინ და ვერაფერი ვერ გააჩერებს.

**— ანუ ერთადერთი მიზეზი, თუ ამ გეგმის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ, შეიძლება იყოს ისევ ხელისუფლებაში დაბრუნება და სრული ძალაუფლების ხელში აღება?**

— რა თქმა უნდა, კედელთან არიან მიყენებულები და იციან, რომ ურთულეს მდგომარეობაში არიან. მაგრამ გითხარით, რომ ვლაპარაკობ არა მთლიანად „ნაციონალურ მოძრაობაზე“, ამ ინფორმაციით ლაპარაკია ადამიანების ძალიან ვიწრო წრეზე და არა იმაზე, რომ ნაცმოძრაობაშია ასეთი აზრი. ლაპარაკია გარკვეულ ჯგუფზე, რომლებიც არ არიან საქართველოში.

**— შეიძლება ასეც ითქვას, რომ ნაწილი საქართველოშია, ნაწილი კი არ არის საქართველოში?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება.

ესაუბრა
**ლალი ზირაქიშვილი**

გვეხმაურებიან

## მხარს უჭერენ წინსვლის გზას

გულდასმით გავეცანით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2012 წლის 16 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს — **„ასე გვესახება წინსვლის გზა“**, რომელშიც დამაჯერებლად არის განხილული, თუ როგორ უნდა განვითარდეს საქართველოს სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგები — სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, რის შედეგადაც შეიქმნება უამრავი სამუშაო ადგილი.

კარგი იქნება, თუ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, ქვეყნის თითოეული მცხოვრები მხარს დაუჭერს ამ საშვილიშვილო პროგრამის განხორციელებას.

კიდევ ერთხელ ვთხოვთ საქართველოს ხელისუფლებას, რათა დროულად მიიღოს ზომები ამ პროგრამის აღსრულებისათვის.

**მირიან ტაბიძე, ჯამბულ ძირკვაძე, ხათუნა ოჩიგავა, გიული ფიცხელაური, ამირან რამიშვილი, შალვა მაკარაძე, ვალერიან აბაშიძე, ასლან გაბაიძე, იოსებ ძიძიგური, თემურ მარხვაშვილი, გურამ ბერიძე, იური ბარათაშვილი, ბაქარ ისმაილოვი, ნათია ხარძიანი, გურამ ჯანაშია, თამაზ ციკოლია, ტარიელ ონიანი, ჯემალ ბეგაშვილი, ნორიკ მარდოიანი, ავთანდილ ჩხეიძე, ომარ ვარამაშვილი.**

ინფორმაცია

## ამნისტიის შედეგად ციხეებიდან კიდევ 18 პატიმარი გათავისუფლდა

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, ციხეები პატიმრებმა ორშაბათს დატოვეს.**

**ბოლო მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები ჯამში 6 918 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა დატოვა, მათ შორის 175-მა პოლიტპატიმარმა, 275-მა მდედრობითი სქესის სრულწლოვანმა (№2 დაწესებულება — 2, №3 დაწესებულება — 3, №5 დაწესებულება — 270) და 17-მა მამრობითი სქესის არასრულწლოვანმა. (№2 დაწესებულება — 1, №8 დაწესებულება — 1, №11 დაწესებულება — 8, №17 დაწესებულება — 6, №18 დაწესებულება — 1).**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რა სურთ „ძიებს“?

**მთელ თაობებს მოგვიწია ისეთ სახელმწიფოში ცხოვრება, სადაც პოლიტიკა თითოეული ჩვენგანის პირადულ საქმედ არის ქცეული. ეს იმიტომ, რომ ჩვენში პოლიტიკოსების ხუშტურებზე, მათ კეთილგანწყობასა, თუ ბოროტგანზრახვაზეა დამოკიდებული დენისა და წყლის ტარიფები, სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის საფასური, პენსიის ოდენობა, მისი გაცემის პერიოდულობა და ასე შემდეგ. არა ისე, როგორც ნორმალურ ქვეყნებშია, სადაც ეკონომიკური პრობლემები ეკონომიკური კანონებისა და პრინციპების შესაბამისად რეგულირდება. აქაც ასე რომ იყოს, ვინ მამაძაღლი იფიქრებდა დღენიადაგ პოლიტიკაზე, სულ ცალ ფეხზე დავიკიდებდით, რას იპრუტუნებდნენ ტელეკამერების წინ ვინმე ჩიტირეკია პარტიის ბოსი (თუნდაც, ბოზი!) თუ მოლაყბე პარლამენტარი, რა შეხედულებებს ამოაბოყინებდა ვინმე ყოფილი, თუ ახლანდელი დიდჩინოსანი დათია თუ ვანიჩქა, მიშაია, თუ შალიკია. მაგრამ რა ვქნათ, პოლიტიკურ აჯაფსანდალში ცხოვრება გვარგუნა განგებამ... „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა...“ უნდა ვეძებოთ სწორი გზა და სავალი და იქნებ როგორმე დავემსგავსოთ იმ ნორმალურ ქვეყნებს, სადაც კანონი კანონია და ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია...**

**გასული წლის პირველ ოქტომბერს ცა გაიხსნა და იმედის ნიშანსვეტი დავინახეთ. როგორც იქნა, ჩვენი ხალხი ხალხივით მოიქცა და მოძალადე, ოკუპანტ ხელისუფლებას გადაჭრით უთხრა „არა!“**

ტერმინი „ოკუპანტი“ არც წამომცდენია და არც შემთხვევით მითქვამს: ხელისუფლება, რომელსაც უცხო ქვეყანა უხდის ხელფასს, ოკუპანტია, აბა, რა ჯანდაბა და დოზანაა? ჩვენი ვარდოსნები რომ უცხო ქვეყნიდან იღებდნენ ხელფასებს, მე კი არ მომიგონია, თვითონ ამბობდნენ. ან კი როგორ დამალავდნენ!

ერთი სიტყვით, ნაცოკუპანტების ხელისუფლება დამარცხდა და გამარჯვებულმა ხალხმა თავისი მთავრობა მოიყვანა ქვეყნის სათავეში, თუმცა, ნაცების ბელადი კვლავ ყველაზე მაღალ ტახტზე დარჩა. პარლამენტშიც კაი გვარიანი ნაცკომანდა მოყუჩდა ნაცადი მეთოდითა და საშუალებებით.

გამარჯვებულს, რაინდული წესითა და რიგით, გულმოწყალება მოეთხოვება და გამარჯვებულთა წინამძღოლმა გამარჯვებისთანავე განაცხადა: **ჩვენ მათ ისე როდი მოვექცევით, როგორსაც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ჩვენს ხალხს ეკადრებაო.** ღირსეული კაცის ნათქვამია, მაგრამ საკითხავი ის არის, ჩვენი ხალხი როგორ საქციელს მოითხოვს თავისი ძალისხმევით მოყვანილი მთავრობისაგან. ნუთუ იგი მზად არის, კვლავაც მოძალადეებსა და ცრუპენტელებს უცქიროს თავის საკანონმდებლო ორგანოში და მილიონები გაიღოს იმ კაცის ვნებების დასაკმაყოფილებლად, რომელმაც თავის ახირებებს ლამის მთელი საქართველო გადააყოლა? „იმ კაცის“-მეთქი რომ ვთქვი, მიხვდით, ალბათ, სააკაშვილს ვგულისხმობდი. 20 იანვრის შემდეგ იგი საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის და ამიტომ მოვიხსენიე „იმ კაცად“, თუმცა თვითონ ჭირვეული ბავშვივით არის ჩაფრენილი სავარძელს და იმის გაგონებაც არ უნდა, რომ ვადაგასულია.

რატომ დაიჯერებს თავის ვადაგასულობას რა, დედაქალაქი ისევ ნაცპარტიელების ხელშია, რაიონების უმრავლესობაში ხელისუფლებას ნაცები წარმოადგენენ, თანაც გამარჯვებულთა მიმართ პატივისცემას კი არ გამოხატავენ, პირიქით! ნაპრეზიდენტალი წამდაუწუმ იმას ახსენებს გამარჯვებულებს, მადლობლები უნდა იყოთ, თქვენი გამარჯვება რომ ვაღიარეო. ხომ შემეძლო პრეზიდენტის უსაზღვრო უფლებები გამომეყენებინა და ისე მოგქცეოდით, როგორც 2008 წელს მოგექეცითო. ნაპრემიერმინისტრალი კი პირდაპირ იმუქრება, ამათ ოთხ წელიწადს ვერ დავაცდით ხელისუფლებაში ყოფნასო!

გამარჯვებულთა წინამძღოლმა კი: ნაცებს რომ ეკადრება ისე კი არ მოვექცევით, არამედ ისე, როგორც ჩვენს ხალხს ეკადრებაო.

ეს ეკადრება ჩვენს ხალხს, ქალაქის მერი საჯაროდ დასცინოდეს თბილისის მოსახლეობას? პირველი ოქტომბრიდან ერთი თვის შემდეგ თბილისის უმეტეს უბნებში წყლის ტარიფი 2 ლარი და 40 თეთრიდან 3 ლარსა და 15 თეთრამდე გაიზარდა. ამითი ქალაქის მერმა პირდაპირ გვითხრა: ეგ თქვენი „მეოცნებეები“ ტარიფების შემცირებას რომ დაგპირდნენ, ფარჩაკები არიან და მეტი არაფერიო. წადით ახლა და უყარეთ კაკალიო.

რაც აქამდე ვიცოდით, იმის გარდა უამრავი დანაშაული გამოაშკარავდა, რაშიც ნაცების ყოფილი მაღალჩინოსნები არიან გარეულნი; უბრალო მაღალჩინოსნები კი არა, ისინი, ვისაც სამართლის დაცვა ევალებოდათ.

მერე, რა ხდება?

**ეგღა მაკლია პროკურატურის დახუთულ ოთახში მივიდე ჩვენების მისაცემადო, — თბილისის მერმა.**

## „ავსა კარგად ვერვინ შესცვლის...“



**რამდენი უწყებაც უნდათ, იმდენი გამომიგზავნონ, დაკითხვაზე მაინც არ მივალო, — პარლამენტის დეპუტატმა, რომელიც ამას წინათ გენპროკურორის მოადგილე იყო.**

ასე დიდ გულზე რომ არიან და თავხედურად იქცევიან ხალხის მიერ პირწმინდად უარყოფილი ნაცები, განა საკვირველი არ არის? ამგვარ საკვირველებაზე ერთი ცნობილი არაკი-ანეკდოტი უნდა გავიხსენოთ, რომელიც სხვა დროსაც გამომიყენებია აუხსნელი ამბების ასახსნელად...

**უღრან ტყეში სანადიროდ გამოსული მელა ასეთ სურათს გადააწყდა: მგელი დგას ცხვირჩამოშვებული და ყურებჩამოყრილი, მის წინ ყინჩად მდგარი კურდღელი კი უშვერი სიტყვებით აგინებს და აფურთხებს მას. კურდღელმა მგლის გინებით გული რომ იჯერა, შებრუნდა და თავაწეული ამაყად გაუდგა გზას. გაოცებულმა მელამ მგელს ჰკითხა: კაცო, მგელი არა ხარ, კურდღელი ეგრე როგორ გაგინებდაო? კურდღელი როგორ შემაგინებდა, მაგის დედაც... მაგრამ ეგ ჩათლახი დათვის ბიძაშვილიაო, — მიუგო ბოღმისგან გასიებულმა მგელმა.**

ასეა ჩვენთანაც. დამარცხებულ ოკუპანტ ნაცებს მაშველი რგოლი გადმოუგდეს მათმა ბიძაშვილებმა - კოაბიტაცია (თუ კოჰაბიტაცია!); ესე იგი, რაც უნდა დამნაშავენი იყვნენ ნაცები, ვირის აბანოში თუ გაუშვით, პოლიტიკურ დევნაში ჩაგეთვლებათო, — შემოგვითვალეს. იმ კურდღლისა არ იყოს, ამათაც მეტი რა უნდოდათ, დარბიან თავიანთ დასავლელ (დასავლეთი საქართველო არ გეგონოთ!) ბიძებთან და ჩივიან, გვემუქრებიანო.

მერე და რას ჩივიან? სახელმწიფო ბიუჯეტი საკუთარი ჯიბის ფულად რომ აქციეს და „უპრაგონოდ“ ფლანგავდნენ უცხოურ თუ აქაურ ფეშენებლურ რესტორნებსა თუ „შოპებში“, ამაზე გვთხოვენ პასუხსო. წარმოგიდგენიათ? იმ „ბიძებმაც“ სულ აიღეს ნამუსზე ხელი და თითის ქნევა დაუწყეს „მეოცნებეებს“, დემოკრატიულ პრინციპებს ნუ ღალატობთო. მაგათ საერთაშორისო კონვენცია უფლებას აძლევთ, რომელ „შოპშიც“ სურთ, იქ შეძვრნენ და იშოპინგონო.

კაი დაგემართოთ, მაგრამ ბიუჯეტის ფულით რომ შოპინგობენო, — მეოცნებეებმა.

**კარგით ახლა! ყველაფერზე მაღლა დემოკრატია და კოჰაბიტაცია დააყენეთო, — შემოთვალეს ბიძებმა.**

ახლა ისეა საქმე, ეიზენჰაუერს რომ უთქვამს ერთხელ თავისი კონგრესმენებისათვის: მეც ვიცი პრეზიდენტი სომოსა ძაღლიშვილი რომ არის, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენი ძაღლიშვილია და ხმა არ გასცეთო.

აბა, რა გვგონია: იმ დასავლეთელმა ბიძებმა ის იციან, ვისი ქვეყნის მიწის წიაღში რამდენი ლიტრი ნავთობია და ამათ მამაძაღლობას ვერ გაიგებდნენ?

**იქნება ამ უღმერთოების გამოსწორება სურთ იმ „ბიძებსა“ და ჩვენს „მეოცნებეებს“ და სიკეთის მაგალითის მიცემით ნამუსზე უნდათ შეაგდონ ნაცები?** ჰუმანური პედაგოგიკის იდეოლოგები ხომ გვასწავლიან, კარგ საქციელში ავარჯიშეთ უწესრიგო აღსაზრდელებიო. ჰო, მაგრამ ისინი აღსაზრდელებში მოზარდებს გულისხმობდნენ, ნამინისტრალებსა და ნაპარლამენტარებს (თუ აწინდელ პარლამენტარებს) კი არა.

**დიდი ბოდიშის მოხდით მინდა ვთქვა: ჩვენ რომ ცოტა მეტი ჭკუა გვქონდეს, იმაზე კი არ ვიქნებოდით გაფაციცებული, თუ რა დაწერა ჩვენზე დიდ უცხოურ გაზეთში ვიღაც საეჭვო ორიენტაციის ჟურნალისტმა, არამედ ჩვენი ამოუწყავი სიბრძნის სალაროს — „ვეფხისტყაოსანს“ ჩავხედავდით და იქ მოვძებნიდით საჩვენო რჩევადარიგებებს.** აი, რას ბრძანებს სულმნათი რუსთველი იმაზე, რასაც კოჰაბიტაციონერები გვთავაზობენ. „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის“-ო. აგერ, ჩვენი თვალით არ ვხედავთ ამ სიბრძნის ცოცხალ მაგალითებს! რაც უფრო მეტად ელოლიავებიან ამ ქვეყნის დამაქცევარ ნაცებს, მით უფრო აგრესიულები ხდებიან ისინი. იმის მაგივრად, რომ ცოტა დაირცხვინონ მაინც, ჩვენს აშენებულს დანგრევას უპირებენ და ამათ დიდხანს არ დავაცდით ხელისუფლებაში ყოფნასო, — იმუქრებიან. რისი იმედით იმუქრებიან? მაგათი მხარდამჭერები ორიოდე კრამიტდაცურებულისა და მაგათთან ერთად ნაჭამების გარდა, კიდევ ვინ არის? არავინ! დიდი ბიძების იმედი აქვთ, რომელთაგან ბევრი, ალბათ, კარგად ნაჭამია... ამათგან (რატომ ვერ აჭმევდნენ, რა, ბიუჯეტი ჯიბის ფულად არ ჰქონდათ თუ რა!).

ბევრი ყოფილი ნაცაქტივისტი, ალბათ, თავისი ნებით დადგა „მეოცნებეთა“ მხარეს. ზოგს, იქნებ, გულწრფელად სურდეს „კარგად მოქცევა“. შეიძლება! მაგრამ ვისაც ადამიანების ცოდვა აწევთ კისერზე, ვინც გუშინ ჯალათი იყო და თან ჯალათობას ხალისითა და ერთგვარი აზარტითაც კი ეწეოდა, არა მგონია სიკეთის მქნელად იქცეს. სავლე კი იქცა პავლედ, მაგრამ მეორე ასეთი მეტამორფოზა კაცობრიობის ისტორიამ არ იცის. აკი, ჩვენი დიდი ბრძენი რუსთველიც გვარწმუნებს: **„...თავსა ახლად ვერვინ იშობს“**-ო.

რუსთველს დავუჯეროთ, რუსთველს, მამაჩემს აქვს ცხონება, თორემ, რაც იმ ვირის პატრონს დაემართა, რომელმაც, სადაც კი გაიარა, ყველა იმ სოფლელთა რჩევა რომ მიიღო, ისე მოგვივა ჩვენც.

**ხელისუფლების გასაგონად ვამბობ (თუ ეს ფანტაზიის სფერო არ არის!): ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობა, ცხრაწლიანი შეურაცხყოფისა და აბუჩად აგდების შემდეგ, იღვიძებს და რისხვად ვლინდება ქართველთმოძულეთა მიმართ. ამიტომ, დროულად გაეცით პასუხი ნაცებსაც და ხალხსაც, თორემ გაღვიძებული ხალხი თვითონ გასცემს პასუხს ნაცებსაც და თქვენც და მაშინ ვეღარც „კოჰაბიტაცია“ გიშველით და ვეღარც ის რეფორმირებული პოლიცია, რითაც ასე ტრაბახობდა მისი ყოფილი უფროსი და მასთან ერთად, მათი მთავარი დამფინანსებელიც.**

**ზურაბ ცუცქირიძე**

## გამოსაძრომი პრეზიდენტისთვის

# იდეოლოგიურად – „კოჰაბიტი“, პოლიტიკურად – „დავნობიტი“, პერსპექტივაში – თარჯიმანი

**„ცოცხოსანო ნაცებო“, — „კოჰაბიტაციის“ იმედად მყოფნო“... ქართველების უდიდესი უმრავლესობა ასე ფიქრობს თქვენზე:**

**„..რაც უნდა ჭირი მომკერძო,**
**ბილწთ არ შავეკვრი ზავითა;**
**მცნებას ვერ შემაცვლევინებ**
**მოზღვავებულის ავითა!..**
**განა მარტო ვარ ამქვეყნად,**
**სხვაც მრავალია ჩემფერა..“!!! —**
**(ვაჟა ფშაველა)**

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ, როგორც ჩანს, ოქტომბრამდე დარჩენილ 8-თვიანი „კოჰაბიტაციის“ პერიოდში კიდევ ბევრ შოუს დადგამს ვადაგასული სააკაშვილი თავის „ნაცმოძთან“ ერთად, რომელსაც, მძლავრი პიარმხარდაჭერა ექნება დასავლეთში... „რატომღაც“! ამიტომ, ქართველმა ხალხმა უნდა აიღოს ინიციატივა თავის თავზე და ათეულობით ათასმა მანიფესტანტმა ავლაბრის რეზიდენციასთან უნდა მოითხოვოს, რომ უზურპატორმა (20 იანვრის შემდეგ!) სააკაშვილმა 24 საათის განმავლობაში დატოვოს სახელმწიფო დაწესებულება, რომელსაც გადმოიბარებს მთავრობის მიერ დანიშნული დროებითი ადმინისტრაცია!.. ვინაიდან, 1 ოქტომბერს არჩეულ პარლამენტში „ნაცმოძის“ ათეულობით დეპუტატი მოხვდა (20% „მოახერხეს“ და გააყალბეს), მართებული იქნება, რომ მაისში ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც და ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო განთავისუფლდეს ამ „ნაცნაგავისგან“, რომელიც ექსტრემისტულ-დესტრუქციულ ძალად გადაიქცა! „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და მათი მოძალადე, ქოსატყუილა პრეზიდენტი სააკაშვილი, 9 წლის განმავლობაში უმოწყალოდ გვძარცვავდნენ, გვაშინებდნენ, გვამცირებდნენ, გვაწამებდნენ, გვკლავდნენ და ნუთუ ამ ნაძირლებს უფლება უნდა ჰქონდეთ, რომ ისინი საქართველოს პარლამენტის დეპუტატებად იწოდებოდნენ??!!

მათ არა აქვთ ამის მორალური უფლება! ამიტომ, სანამ გვიან არ არის, დავიწყოთ მოქმედება — პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ორგანიზაციად ცნობის და აკრძალვის მისაღწევად! გაითვალისწინეთ ყველამ, რომ ვადაგასული სააკაშვილის და „ნაცმოძის“ დევიზია — „თუ ჩვენ არ ვიქნებით ხელისუფლებაში, ქვა-ქვაზე ნუ დარჩება საქართველოში“!! ეს საპარლამენტო უმცირესობა არ იმსახურებს იმას, რომ საქართველოს პარლამენტის წევრები იყვნენ!.. ამიტომ, ისევე, როგორც 1990 წლის პარლამენტმა (სადაც საქართველოს კომუნისტური პარტიის 45-წევრიანი ფრაქცია იყო და „კოჰაბიტაციის“ რეჟიმში ცდილობდნენ თანამშრომლობას ეროვნულ ხელისუფლებასთან), რომელმაც უფლებამოსილება შეუწყვიტა კომპარტიის ფრაქციას და დაატოვებინა პარლამენტის რიგები, დღესაც, იგივე გადაწყვეტილებაა მისაღები!

იხ. 4 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

⦿ იურისპრუდენცია



# „ვაფრთხილებდით ჩინოვნიკებს, მოსამართლეებს, პროკურორებს - მოვა დრო, დაგჭირდებით ნორმალური ადვოკატები“

**„ვარდოსნების“ ხელისუფლებამ კომუნისტების მავნე ტრადიცია გააგრძელა და ყოფილი პროკურორების, მოსამართლეების, ჩინოვნიკების სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მათი ადვოკატთა ასოციაციაში დასაქმება დაიწყო. დღეს ბევრი უკვე ყოფილი საჯარო მოხელე, პრეტენზიას აცხადებს, რომ მათ ადვოკატთა ასოციაციაში არ აწევრებენ, ან გაწევრება გაუჭიანურეს.**

ჩვენი რესპონდენტი ადვოკატის (კატეგორიულად მოგვთხოვა ვინაობა არ დაგვესახელებინა) განმარტებით, წინა ხელისუფლება ადვოკატს და მის ინსტიტუტს სრულ იგნორირებას უწევდა. აბუჩადაც კი იგდებდნენ. მოსამართლეები, პროკურორების მითითებით, აბსურდული ბრალდებებით აჯარიმებდნენ, სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან აძევებდნენ, ურჩთ ციხეში სვამდნენ სხვადასხვა ბრალდებითა და ვადით. ინკოგნიტო რესპონდენტის განმარტებით, ყოფილმა ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ ადვოკატები რამდენიმე შტოდ დაყო. პირველი და ყველაზე დიდი შტოა სახაზინო (საბიუჯეტო) ადვოკატები.

ისინი, როგორც ხელისუფლებისგან დაფინანსებულები, უსიტყვოდ ასრულებენ მოსამართლეების, პროკურორების მითითებებს, ნაკლებად აინტერესებდათ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფის ბედი. მეორე შტოდ ჩვენთან მოსაუბრეს მიაჩნია ადვოკატთა ის ჯგუფი, რომელიც უფლებების დაცვის გარდა ყველაფერს აკეთებდნენ, ისინი წარმოადგენდნენ მხარეებს შორის შემთანხმებელს, შუამავალს. მესამე, ყველაზე მცირერიცხოვან შტოს წარმოადგენენ ე. წ. დაუმორჩილებელი ადვოკატები, რომლებიც მოსამართლეთა და ადვოკატთა დიქტატს ვერ ეგუებოდნენ და ყველანაირად იბრძოდნენ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებების დასაცავად. ამ კატეგორიის ხალხზე მოდიოდა ყველანაირი ზეწოლა, შანტაჟი, დაშინება (პირადად მათი და ოჯახის წევრების), დაცვის ქვეშ მყოფთა ახლობლებთან მოლაპარაკებები ადვოკატისათვის აცილების თაობაზე, ბრალდებულთათვის გარკვეული შეღავათების სანაცვლოდ ადვოკატისათვის ქრთამის შეთავაზების ან შეთითხნილი ჩვენების მიცემის თაობაზე, რასაც შემდგომ დაჭერა-დაპატიმრებები მოჰყვებოდა.

ამგვარი საქმეების ჩამდენი ყოფილი მოსამართლეები თუ პროკურორები დღეს ითხოვენ ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრებას, სასამართლოებშიც ჩივიან, — გვეუბნება ჩვენი მოსაუბრე. ხალხი, რომელიც აბუჩად გვიგდებდა, დღეს ჩვენს კოლეგობას ითხოვენ, უფრო მეტიც, მოითხოვენ. ეს ადვოკატთა (ჭეშმარიტ) კორპუსს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს. **„ჩვენ ვაფრთხილებდით ჩინოვნიკებს, პროკურორებს, მოსამართლეებს, მოვა დრო, დაგჭირდებით ნორმალური ადვოკატები, იგრძნობთ ადვოკატურის აუცილებლობას და ძალასო. და აი ეს დროც დადგა“,** — ამბობს ჩვენი ინკოგნიტო რესპონდენტი.

ყოფილი პროკურორი რომეო საჯაია ამბობს, რომ მან პროკურატურის გამოცდები ჩააბარა და კანონით ასოციაციაში გაწევრების სრული უფლება აქვს. ყოფილს სასამართლოსთვისაც მიუმართავს, რომელსაც მისი მოთხოვნა დაუკმაყოფილებია, მაგრამ ასოციაცია დღემდე თავს იკავებს მის გაწევრებაზე. საჯაიას აზრით, მას პოლიტიკური მოტივი უნდა ჰქონდეს.

იგივე მოსაზრებისაა ყოფილი მოსამართლე მილერ ხარებავა. მას ასოციაციაში გაწევრებისათვის სარჩელის შეტანილი აქვს სასამართლოში და მის ვერდიქტს ელოდება.

ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ამბობს, რომ ყოფილი მოსამართლეებისა და პროკურორების პრეტენზიები აბსურდულია და განმარტავს, რომ შესაბამისი გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში, მათ დაუბრკოლებლად გააწევრებენ. „ადვოკატთა კანონის“ თანახმად, ასოციაციაში გაწევრებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს ის გარემოება, რომ ტესტირებიდან გასულა 7 წელზე მეტი. ამიტომ მოუწევთ გამოცდების ხელახლა ჩაბარება.

ხატიაშვილი პოლიტიკურ მოტივებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ბევრი ყოფილი პროკურორი გაწევრდა მათ რიგებში, რომლებთანაც დაცული იყო 7-წლიანი ვადა, ჩვენ რომ ყოველთვის გვეთქვა უარი, აი, მაშინ შეიძლებოდა პოლიტიკურ მოტივებზე ლაპარაკი, — ამბობს თავმჯდომარე.

ის უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ განთავისუფლებულ პროკურორთა 90 პროცენტი ადვოკატთა ასოციაციაში წევრდება, რაც ორგანიზაციისათვის ძალიან ცუდია. ამ ხალხს ადვოკატის მენტალიტეტი უნდა ჰქონდეთ. ეს პრობლემა ჩვენს წინაშე დგას და საჭიროა კანონში ცვლილებების შეტანა, რომელიც ამ საკითხს დაარეგულირებს, — ამბობს ხატიაშვილი.

თავმჯდომარე კანონის იმ მუხლსაც შეეხო, სადაც მითითებულია, რომ ასოციაციაში გაწევრება შეუძლიათ ადვოკატებსა და თავიანთ უწყებაში ტესტირებაგავლილ ყოფილ პროკურორებს. ოღონდ დაცული უნდა იყოს 7-წლიანი ვადა. ხატიაშვილი ორ სხვადასხვა უწყებაში გამოცდაჩაბარებულთა გათანაბრებას უსამართლობად მიიჩნევს, რადგანაც ადვოკატურაში გამოცდების ჩაბარების დროს სისხლის სამართალში 5 ათასი ტესტი ბარდება, პროკურატურაში კი მხოლოდ ათასი. ეტყობა გამოცდების ჩაბარება არ უნდათ და ასე ჯიქურად მაგის გამო „გვაწვებიან“ — ასკვნის №1 ადვოკატი. იგი მოუწოდებს გაწევრების მსურველთ, რომ მალე გამოცხადდება საბუთების შემოტანის თარიღი და ყველას ექნება შესაძლებლობა ტესტირების გავლისა.

ხატიაშვილი ამბობს, რომ ერთ-ერთმა ყოფილმა პროკურორმა, რომელსაც ვადების დარღვევის გამო ასოციაციაში გაწევრებაზე უარი ეთქვა (ვინაობა არ სახელდება), ტელევიზიით გამოსვლისას თავი ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატად წარმოაჩინა. ეს არასამეწარმეო საქმიანობა და სისხლის სამართლის დანაშაულია. თუ მსგავსი რამ კიდევ განმეორდა, მივამართავ იუსტიციის სამინისტროს და მათ წინააღმდეგ საქმის აღძვრას მოვითხოვ, — აღფოთებას ვერ მალავს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე.

ჩვენი ინკოგნიტო რესპონდენტისათვის გაუგებარია, როგორ დასხდებიან ყოფილი მოსამართლეები და პროკურორები ასოციაციის შეკრებაზე იმათ გვერდით, ვისაც ცოტა ხნის წინათ სისხლს უშრობდნენ, აშანტაჟებდნენ, აჭერინებდნენ.

ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ ვის, ვის და ყოფილებს დისკრიმინაციაზე საუბარი ნამდვილად არ ეგების.

**ზაზა ბილიხოძე**

⦿ გამოსაძრომი პრეზიდენტისთვის

# იდეოლოგიურად - „კოჰაბიტი“, პოლიტიკურად - „დავნობიტი“, პერსპექტივაში - თარჯიმანი

(მეხუთე გვერდიდან)

„ნაცმოძი“ და მათი უზურპატორი „პრეზიდენტი“, არანაირი სახით არ უნდა იყვნენ ხელისუფლებაში! როგორი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სირთულეებიც არ უნდა შეგვხვდეს ამ გზაზე, ეს გზა უნდა გავიაროთ და გავიყვანოთ ქვეყანა სამშვიდობოს! „ნაცმოძის“ და მათი ბელადის ცქერა უზნეობაა, ქართველი ხალხი ბიძინა ივანიშვილს გაჰყვება ამ გზაზე და ნულარ ვაყოვნებთ!!

7 ნოემბრის და 26 მაისის ჩამდენებთან რა „კოჰაბიტაციაზეა“ საუბარი?! იმ მხეცობას ქართველი ხალხი არასოდეს არ აპატიებს სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“!! ერთი გამოსავალი აქვთ მხოლოდ, როგორც პოლიტიკურმა დაჯგუფებამ უნდა გამოაცხადოს თვითლიკვიდაცია! სხვა შემთხვევაში, წინ კიდევ ბევრი 8 თებერვალია მოსალოდნელი!.. ნუ ჩაყვებით ნაპრეზიდენტალ სააკაშვილს პოლიტიკურ სამარეში!..

ვადაგასული სააკაშვილი მხოლოდ ეროვნულ ბიბლიოთეკაში კი არა, არ უნდა შეუშვათ ოჯახებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში (მოარიდეთ ბავშვები!), სახელმწიფო დაწესებულებებში და კერძო ოფისებში (თუ გინდათ, რომ არ გაკოტრდეთ!)!... მორჩა! არ გაუღოთ კარი უზურპატორს, ძირს თვითმარქვია!

სააკაშვილი თავისი გადარჩენის გზას ეძებს, სანამ პრეზიდენტის სტატუსი იცავს!.. „კოჰაბიტაციური“ ხერხებით მას და მის სრულიად გაკოტრებულ პოლიტიკურ დაჯგუფებას (მოქკავშირ-ნაციონალურს), არანაირი შანსი აღარ აქვთ, რათა შეძლონ პოლიტიკური ვითარების გარდატეხა და ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დაბრუნება! მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი დღეს ფლობს კონტროლს სასამართლო სისტემაზე და ეს არის მისთვის ჯერჯერობით საიმედო საყრდენი (კუბლაშვილი, პაპუაშვილი), რომლის მეშვეობითაც იგი ცდილობს „კოჰაბიტაციის“ პირობებში ლავირებას, მაგრამ, სულ უფრო აშკარა ხდება, რომ მისი და მცირერიცხოვანი გუნდის პოლიტიკური და ზნეობრივი რეიტინგი კატასტროფულად დაეცა! თბილისის მერი და მერია, პროკურატურის და ფინანსური პოლიციის ყურადღების ცენტრშია (დამსახურებულად!)... და ამ პროცესს „არჩეული“ ქალაქის მერი ვერ შეაჩერებს!.. უფრო მძიმეა სააკაშვილის „ნარჩენების“ მდგომარეობა რეგიონებში (მმართველობებში და თვითმმართველობებში!)! წითელი ცირკულარის მოთხოვნა კი, ისრაელის მოქალაქე კეზერაშვილისთვის, სააკაშვილისთვის „ყვითელი“ ბარათის ტოლფასია... მოკლედ, ცუგცვანგი აშკარაა. მეტიც, რაც უფრო გამწვავდება სიტუაცია, მით უფრო მძიმე გახდება მისი ხვედრი!.. არადა, ნულის ტოლია შანსი იმისა, რომ უსტატუსო, არაპრეზიდენტ სააკაშვილს გარანტია ჰქონდეს, რომ საქართველოში იცხოვროს თავისუფლად, როგორც „თავისუფალმა“ მოქალაქემ... ეს კი არა და, უცხოეთში წასვლის და იქ დაფუძნების შემთხვევაშიც კი ვერავინ მისცემს მას გარანტიას იმისას, რომ „ერთ მშვენიერ დღეს“ საქართველოს მთავრობის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე არ განხორციელდეს მისი ექსტრადიცია სამშობლოში!.. ამიტომ, იგი ამ უმძიმესი მდგომარეობიდან რომ „გამოძვრეს“, ვფიქრობ, სააკაშვილი შეეცდება თავისი (სხვაზე აღარ ფიქრობს!) გადარჩენის გზა იპოვოს, ახალი ხელისუფლების მიერ დაშვებული უნებლიე იურიდიულ „შეცდომა-გადაცდომებში“, — პრეზიდენტის სტატუსში მყოფი სააკაშვილის მიმართ, რაც მას საშუალებას მისცემს ოფიციალურად (ქვეყნიდან გაქცევით, ან გაქცევამდე!) მიმართოს დასავლეთს, სავარაუდოდ, ამერიკას ან ჰოლანდიას („პირველი ლედის“ სამშობლო) პოლიტიკური თავშესაფრის გარანტირებულად მიღების თხოვნით!!!...



პატივისცემით,

**ჯუმბერ კირვალიძე,**
**პოლიტოლოგი.**

2013 წლის, 11 თებერვალი.

**P. S. იანვარში სტრასბურგის ევროსაბჭოს მაღალი ტრიბუნიდან მოქალაქე სააკაშვილი 3 ენაზე (ინგლისური, ფრანგული, რუსული) აბრუებდა ევროდეპუტატებს „დახვეწილი და გაცვეთილი“ ტყუილებით... გამახსენდა ერთი ამბავი, რომელიც დაკავშირებულია აკაკი წერეთლის მოსწრებულ სიტყვა-პასუხთან. იმდროინდელ ქუთაისში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც დიდი ჭკუა-გონებით არ გამოირჩეოდა, მეტიც, არასერიოზულ ადამიანად მიაჩნდათ, თუმცა, უცხოეთში სწავლისას მას უცხო ენების ათვისების ნიჭი აღმოაჩნდა და 5 ენა შეისწავლა... აკაკის ეს რომ გაუგია, უთქვამს: „დავიღუპეთ ქართველები, აქამდე თუ მარტო ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ჩვენებური პატარას წაისულელებდა, აწი 5 ერის წარმომადგენლებს ეცოდინებათ ეს ამბავიო“! - ჰოდა, რაც გეხერხება პრეზიდენტყოფილო, „იმას მიაწექი“! მოხარული ვიქნები, რომ 2014 წელს საქართველოში, ან სადღაც ევროპაში, ამერიკაში, თუნდაც სინგაპურში დააფუძნოთ თარჯიმანთა ბიურო „ლაზიკა“, სადაც მომხმარებლებს შესთავაზებთ ასეთი შინაარსის სერვისს: „უზრუნველვყოფთ ნებისმიერი ლიტერატურის (კლასიკური, თანამედროვე), ტექნიკური, სპეციალური, პოლიტიკური თუ სხვა სახის ნაწარმოებების და ტექსტების მაღალკვალიფიციურ თარგმანებს, უსწრაფეს და უმოკლეს ვადებში! — მსოფლიოში არსებულ ყველა ცოცხალ, ნახევრადცოცხალ და ნაწილობრივ გარდაცვლილ ენებზე“!!**

**ბიურო „ლაზიკას“ მეპატრონე, მენეჯერი და უფროსი მთარგმნელი, საქართველოს ექს-პრეზიდენტი მიხეილ (Misha) სააკაშვილი. — აი, ამ საქმეში გისურვებთ წარმატებებს!!..**

**ჯ. კ.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ძახილი

# „შენ თუ გადამარჩენ, შვილო!..“

გუშინ სოციალურ ქსელ ფეისბუკზე ჩემმა მეგობარმა რომან კუსიანმა წერილი დამახვედრა, რომელიც მას ბესიკ წერედიანმა გამოუგზავნა. არ შევაფასებ, უბრალოდ მინდა, წაიკითხოთ და თუნდაც რამდენიმე წუთით ჩაფიქრდეთ.

წერილს სრულად გთავაზობთ:

**„ლაშა, მამა, მინდა ბოდიში მოგიხადო დღევანდელი დღისთვის და გელაპარაკო იმაზე, რაზეც ლაპარაკს 17 წელია, გავურბი და არ გეუბნები, ვმალავ, მრცხვენია, მაგრამ დღეს დავინახე, რომ აუცილებელია, თუ არ გითხარი, თუ არ გაგაფრთხილე, ვხედავ, რომ ჩემში ჩაბუდებული ეშმა, მივიწყებული და სამარცხვინო, ჩემი სულის ნაწილი, ისევ იღვიძებს და ცდილობს, გარეთ გამოვიდეს და წაგართვას სული, მომავალი, მშვიდობა და ღირსება. ხო, ლაშა, ეს მე ვარ, შენი სამაგალითო მამა, შენთვის, ყველაზე ძლიერი, ყველაზე სამართლიანი, ღირსეული და მამაცი, ასეთი მინდოდა დავრჩენილიყავი სულ შენთვის მაგრამ ვერ შევძელი, როგორც კი საშუალება მიეცა, გაიღვიძა ეშმაკმა, ჩემმა მეორე არსებამ, აიწყვიტა და ხომ მნახე დღეს, ხომ დაინახე დღეს ჩემი მეორე სახე,ხო მამა, მე ვარ, მე ვარ ის, ვინც დღეს ბიბლიოთეკაში შესვლას ცდილობდა, მე ვარ ის, ვინც მას აგინებდა, ის პოლიციელიც მე ვარ, იქვე რომ იდგა და არაფერს აკეთებდა, ის ნაძირალაც, ხელი რო გაარტყა ქალს, მე ვარ ის, ვინაც მისი სისხლის დანახვაზე დაბმული ნადირივით ალმუვლდა და ამ სისხლის გემოს გასინჯვა მოინდომა, და იცი რატომ? გაახსენდა, გაახსენდა, რომ განასინჯი აქვს უკვე არაერთგზის, მოენატრა ის ეშმაკისეული სიმთვრალე, რომელიც მოძმის სისხლით გალეშილს სიამოვნებას ანიჭებდა....**

**არადა, შეიძლება, არ დამიჯერო, მაგრამ, ჩვენც თქვენსავით ლამაზები ვიყავით, სუფთა, სამშობლოზე შეყვარებულები, ალბათ ჭკვიანებიც გვეგონა თავი, მომავალს თქვენსავით ვარდისფერი სათვალეებით ვუყურებდით, მაგრამ... მაგრამ ზუსტად 20 წლის წინათ, მაშინ, როცა, ისევე როგორც შენ ახლა, ცხოვრება უნდა დაგვეწყო, სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენ უნდა გადმოგვებარებინა სამშობლო, ამოხეთქა ჩვენი მამების თაობაში დაგროვილმა ბოღმამ, შურმა და სიბილწემ, ამოხეთქა და წალეკა ყველაფერი, ჩვენი საუკეთესო ნაწილი დამარხა და გვაქცია იმად, რამაც მერე ჯვარს აცვა საქართველო, თბილისი, სამეგრელო და ბოლოს ჩემი და შენი, შენთვის უცნობი სამშობლოც, აფხაზეთიც..**

**მაშინაც ასე დავიწყეთ, ბედნიერები ვიყავით, ვხარობდით, ერთმანეთს ვულოცავდით თავისუფლებას, პირველ პარლამენტს, 90 %-ით არჩეულ პირველ პრეზიდენტს, და წარმოდგენაც არ გვქონდა, რამხელა ფასი უნდა გადაგვეხადა ამისთვის, ვიყავით თუ არა მზად ამ „თავისუფლებისათვის“ და ნელ-ნელა, თვითონაც ვერ ვიგრძენით ისე, გავთავისუფლდით სინდისისგან, მორალისგან, ღირსებისგან და დავემსგავსეთ აფთრებს, ერთმანეთზე მონადირე და ერთმანეთის სისხლის მოყვარულ ამაზრზენ ცხოველებს.**

**ლოზუნგები თითქმის იგივე გვქონდა მაშინაც, თავისუფლება, დემოკრატია., მახსოვს, იმის მტკიცებაში ვაგინებდით ერთმანეთს, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო, თავისუფლება თუ დემოკრატია, წარმოგიდგენია მარაზმი?**

**დღევანდელივით ვიკრიბებოდით. მაშინ, მართალია, ნაცები და ოცნებისტები არ იყვნენ, მაგრამ სამაგიეროდ ოხრად ვიყავით ზვიადისტები, ვიყავით მხედრიონელები, საძმოელები, ძველები, ქურდები და კიდევ ვინ იცის ვინ... მაგრამ ეს ყველა ერთად ჩვენ ვიყავით, ქართველები, სამშობლოზე შეყვარებული პატრიოტები. ხო, ასევე ვიქცეოდით მაშინაც, ვურტყამდით, ვკლავდით, განურჩევლად იმისა, ქალი იყო თუ მოხუცი, ბავშვი იყო თუ ინვალიდი, ჩვენ ხომ სამშობლო გვიყვარდა, მათ კი არა, იმიტომ რომ სხვანაირად ფიქრობდნენ, შენ არ იცი, მამა, ლოზუნგი, არც გაგიგია ალბათ: ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი მტერია!.. და დავიწყეთ...**

**ჯერ ექვსასიოდე მხედრიონელმა ღირსება ავხადეთ საკუთარ დედაქალაქს, პატარა ომი მოვაწყვეთ თბილისში, დავიკავეთ ჩვენი ტერიტორია, იცი რომელი ადგილი? აი შენ რომ სეირნობა გიყვარს, რუსთაველის მეტროდან თავისუფლებამდე, ჩავკეტეთ ჩვენი არჩეული პრეზიდენტი ყოფილი პარლამენტის შენობის ბუნკერში და დავცხეთ, ალბათ ამდენივე მაგ ბუნკერში ვისხედით და ასევე მონდომებით ვისროდით იქედან, ხოლო დანარჩენი მილიონნახევარი თბილისელი სახლებიდან ვუყურებდით სისხლიან სასაკლაოს, მეტიც, ვქეიფობდით კიდეც, ვნერვიულობდით კიდეც, მაგრამ ვუყურებდით, როგორ გვენგრეოდა ქალაქი თავზე. მოვინელეთ პრეზიდენტი, „წესრიგი“ დავამყარეთ დედაქალაქში, მერე რა, რო ამისათვის უამრავი ჩვენი თანამოძმე გავჟლიტეთ ქუჩაში, სამაგიეროდ გავიმარჯვეთ...**

**მერე სამეგრელოში ჩავედით, იქ ზვიადისტებიც ვიყავით, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ექვსჯერ თუ შვიდჯერ ავაოხრეთ ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი მოგონილია უბედურება, დაცინვა, აგდება, გაუპატიურება და სულში ჩაფურთხება, უიარაღო და უდანაშაულო ბიჭების პირდაპირ სახალხოდ დახვრეტა... სამეგრელოც მოვარჯულეთ. მერე იყო აფხაზეთი...**

**ეს ჩვენ ვიყავით – 300 ათასი ქართველი, ვინც სოხუმიდან, საკუთარი ჯარისა და მთავრობისაგან ბედის ანაბარა მიტოვებული რომ მოვაბიჯებდით უღელტეხილზე, ეს ჩვენ ვიყავით, ვინც იმავე უღელტეხილზე ჩასაფრებული ველოდებოდით ურჯულოსაგან დევნილ ჩვენივე სისხლსა და ხორცს და უკანასკნელს ვართმევდით, ვძარცვავდით, მამას თვალწინ შვილს ვაუპატიურებდით, ქმრის თვალწინ – ცოლს...**

**მერე იყო დევნილობა, უსახლკარობა, შიმშილი, სიცივე, უიმედობა..და აი, სასწაული მოხდა, შენ დაიბადე მამა, ხილული სასწაული, პირველად რომ გნახე, შემეშინდა, იმ პასუხისმგებლობის შემეშინდა, რომელსაც უფალი მაკისრებდა შენი ჩუქებით, და იცი, ამან ჩემში ის მიძინებული, მბჟუტავი სიკეთე გაალვივა და იმედიც მოვიდა... ყოველთვის როცა მიჭირდა, შენ დაგხედავდი და ძალა მემატებოდა, რწმენა მიძლიერდებოდა და ვიცოდი, ზუსტად ვიცოდი, რას არ გავაკეთებდი აწი არასოდეს და რა უნდა მეკეთებინა, ცხოვრებას აზრი მიეცა.**

**თითქოს დავმშვიდდით, თითქოს წარსულს ჩავაბარეთ ის ცოდვები, თითქოს ეშმაკი მოვთოკეთ მაგრამ მთლიანად ვერა, ზოგჯერ თავს იჩენდა მაინც, იღვიძებდა ჩვენი თაობის წყეული თანამგზავრი, ამპარტავნობას გვაიძულებდა, სხვისი ჭირისადმი გულგრილობას, უაზროდ და უმიზეზოდ ხუშტურს, კაცის დაჩაგვრას და ხდებოდა 26 მაისი, 7 ნოემბერი, ჩვენ ვიყავით, მამიკო ის ნაძირალა ცხოველებიც, რომლებიც ციხეში ადამიანს ცოცხით აუპატიურებდნენ, სამართლის სახელით შენხელა ბიჭებს ვხოცავდით და მერე უნამუსოდ მორალს გიკითხავდით ისევე თქვენ. ჩვენვე ვართ ისინიც, ვინც ეხლა ამისათვის „ნაცებს“ ვაგინებთ, ვწყევლით, ვურტყამთ. პირს ვუკუმავთ მათი მოღვაწეობის მარგალიტების გახსენებით, ვაჩუმებთ და თვითონვე ისევ უარესებს ჩავდივართ.**

**ეს შენთვის არიან, მამა, ესენი ახლები, ჩემთვის კი არაფერი იცვლება, მე მათ ვიცნობ, ყველას ვიცნობ, ნაცებსაც და ოცნებისტებსაც, მათი სინდისი და ხელები ისევეა სისხლში მოსვრილი როგორც ჩემი, მიუხედავად იმისა, პირადად ჩავიდინე თუ არა ის სისაძაგლეები, რასაც გიყვები. ისინი ჩემი თაობის შვილები არიან და ჩემზე უფროსები, ჩვენ ერთად ვჯიჯგნიდით ჩვენს სამშობლოს, ერთად იმიტომ რომ ჩვენ ერთი თაობის შვილები ვართ, თაობისა, რომელიც არასოდეს დამნაშავე არაფერში არაა, თაობა, რომელიც ყოველთვის რუსში, ამერიკელში, მიშაში, ბიძინაში, ჩინელში სხვაში და სხვაში ეძებს დამნაშავეს, თვითონ კი არასოდეს არაფერ შუაშია, მე მიყვარს ჩემი სამშობლო, მიყვარს ჩემი ხალხი, მაგრამ გული მერევა ჩემს თაობაზე, რომელიც 20 წელია, მუწუკად აზის საქართველოს და ვერ დალპა, ვერაფრით რომ გასკნდნენ და მომავალს ჩააბაროს ეს ქვეყანა. სულ რამდენიმე წელიწადი დაგვაკლდა, თქვენთვის გადმოგვებარებინა მშვიდად, რათა თქვენ მიგეხედათ, რომ მშვიდად გაგეგრძელებიათ ცხოვრება და საკუთარი ქვეყნის მშენებლობა, თქვენ ხომ ჩვენგან განსხვავებით უფრო ლამაზები, უფრო ჭკვიანები, უფრო პრაგმატულები და ღირსებით სავსეები ხართ.**

**მინდა, შენ და შენს მეგობრებს, შენს თაობას ბოდიში მოგიხადოთ და შენდობა გთხოვოთ იმისათვის, რაც დღეს მოხდა, იმისათვის რაც ადრე იყო, და გთხოვოთ: გემუდარებით, ნუ მოგვცემთ იმის საშუალებას, რომ კიდევ ერთხელ სისხლისა და ცოდვის კალო დავატრიალოთ საქართველოში, ნუ მოგვცემთ უფლებას, თქვენც დაგაკარგვინოთ ნახევარი სიცოცხლე და თქვენს თაობასაც იგივე დავმართოთ, რაც თავის დროზე ჩვენ გვიქნეს! დამიჯერეთ, თვითოეულ თქვენგანშიც ასევე ცხოვრობს უწმინდური, რომელიც მხოლოდ შესაფერის ნიადაგს და დროს ელოდება...**

**იცი, მიუხედავად იმისა, რაც დღეს მჭირდა, ამ ყველაფრის შემხედვარე რაღაცამ მაინც გამახარა და იმედი გამიჩნდა. რისი იმედი? დღეს იქ, და სხვა დღეებშიც ამ ბოლო დროს გამართულ სამარცხვინო აქციებში შენი ხნისანი და შენზე ცოტათი უფროსები არ ჩანხართ, ანუ არ ეთანხმებით, ანუ ამაში მონაწილეობა არ გინდათ და ეს ბედნიერებაა, თუმცა ნურც გულგრილები იქნებით, გამოდით, ისევე როგორც მაშინ, ციხის კადრების მერე, როცა ლამაზად, მართლა ქართულად არავის მიეცით თქვენი გამოყენების საშუალება და ხმამაღლა თქვით თქვენი სათქმელი, გამოდით და ჩადექით შუაში, თქვენ ყველაზე სუფთა, ყველაზე ლამაზი და ყველაზე მართლები ხართ, თქვენ ჩვენი მომავალი ხართ, ყველასი, ნაცებისაც და ოცნებისაც, თქვენი ერთობაღა თუ გადაგვარჩენს თორემ გაფრთხილებთ, ჩვენ, 90-იანელები, უკვე ვგრძნობთ სისხლის სუნს და თუ ავიწყვიტეთ, უკანასკნელად, მაგრამ საბედისწეროდ მოვიქნევთ კუდს... ბედის ირონიაა, დღეს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა....**

**როგორც წერილის დასაწყისში გთხოვეთ, რამდენიმე წუთით ჩაფიქრდით, გადახედეთ წარსულს, მომავალს და...“**

**გია გაბრიჭიძე**

## ახალი ორგანიზაცია

# დაფუძნდა „მერმისი“

**„ეროვნული ფორუმის“ წალენჯიხის ორგანიზაციის თავმჯდომარე და კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აქტივისტი ვახტანგ ქუჩულორია იმ პირების დასჯას ითხოვს, რომლებიც მის ოჯახს მუქარისა და ზეწოლის ქვეშ ამყოფებდნენ.**

**„2012 წლის აპრილის თვეში წალენჯიხის „კუდის“ უკვე ყოფილმა უფროსმა ზაალ ღურწკაიამ თავისთან დაიბარა ჩემი შვილი სასაზღვრო დეპარტამენტის თანამშრომელი, მესამე რანგის კაპიტანი მანუჩარ ქუჩულორია და წაუყენა ულტიმატუმი. მამაშენს, რომელიც ოპოზიციის ლიდერია წალენჯიხაში, ურჩევთ თავი დაანებოს ოპოზიციონრობას, თორემ პრობლემები შეგექმნებაო. მანუჩარმა ის უარით გაისტუმრა, მე მამაჩემს ამის თქმას ვერ ვაკადრებო. ამის შემდეგ ჩემი შვილი დაიბარეს ფოთის სასაზღვრო დეპარტამენტში. ბაქარ ბაბუხადიამ და კახა ხაბაზმა ჩემს შვილს განუცხადეს, მამაშენი რუსის აგენტია, რუსების შემოყვანა უნდა საქართველოში, მოახდინე ზეგავლენა, გააჩერე ის, თორემ შენს ორ უახლოეს მეგობარს წამალს ჩავუდებთ და დავაპატიმრებთო. ამის შემდეგ ჩემი შვილი იძულებული გახდა, დაეწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ,“** – აღნიშნა ვახტანგ ქუჩულორიამ.



ვახტანგ ქუჩულორიას განმარტებით, მისი შვილი არის ომის ვეტერანი და დაჯილდოებულია სპეციალური მედლით ამერიკელების მიერ უკრაინული გემის გადარჩენის გამო. მისი თქმით, ბაქარ ბაბუხადია და კახა ხაბაზი დღესაც მუშაობენ თანამდებობებზე, ხოლო ზაალ ღურწკაია ახლახან გამოჩნდა „ქართული ოცნების“ წალენჯიხის კონფერენციაზე.

ზუგდიდში ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია – დემოკრატიის განვითარების ცენტრი „მერმისი“ დაფუძნდა, რომლის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, სამეგრელოს რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარებასთან ერთად, არის აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენა, რაც პირდაპირ მიბმულია სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენასთან. **„რკინიგზის გახსნა პირველ რიგში ჩვენი რეგიონისთვისაა პრიორიტეტული, რადგან უკვე რამდენიმე წელია, სამეგრელოს ჩიხშია მოქცეული და აუცილებელია ასევე აფხაზებთან დასაახლოვებლად, ამიტომაც ამ პროექტს არ შეიძლება რამე დაუპირისპირდეს,“** – აღნიშნა ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ბაკა თოდუამ.

„მერმისის“ აბაშის განყოფილების ხელმძღვანელის ადვოკატ როლანდ შონიას განცხადებით ეს ორგანიზაცია იზრუნებს რაიონში სიმართლის დადგენა-აღდგენისათვის, **„სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილემ დავით დარცმელიძემ, როდესაც ის აბაშის პოლიციის უფროსი იყო, მოკლა 23 წლის ახალგაზრდა, რომლის დედასაც დღემდე სამართალი ვერ უპოვია. აბაშისა და მარტვილის მიტროპოლიტ პეტრეს, ახალაიების ნათესავის, გარეშე ამ ორ რაიონში ვერავითარი მნიშვნელოვანი საკითხი ვერ წყდება და დროა ყოველივე ასეთ უმსგავსოებას ბოლო მოეღოს,“** – აღნიშნა როლანდ შონიამ.

**ლადო ქირია,**
**(ზუგდიდი).**

## ინფორმაცია

### შეასრულებენ გაფიცულ მაღაროელთა მოთხოვნებს?

**ჭიათურაში მაღაროელების გაფიცვა დაიწყო. როგორც ჭიათურის მაჟორიტარმა დეპუტატმა მალხაზ წერეთელმა განაცხადა, გაფიცულია ხუთი მაღარო და შვიდი გადამამუშავებელი ქარხანა, ასევე, დაცლილია კომპანია „ჯორჯიან მანგანეზის“ ადმინისტრაციული შენობა.**

**მისივე ინფორმაციით, პროტესტის შედარებით მძიმე ფორმას რვა მაღაროელმა მიმართა. ისინი შუქრუთის მაღაროს სიღრმეში იმყოფებიან და ამოსვლაზე უარს აცხადებენ.**

**გაფიცულ მაღაროელებს სამი ძირითადი მოთხოვნა აქვთ, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში პროტესტის შეწყვეტას არ აპირებენ. ისინი პირველ რიგში 28-დღიანი შვებულების 48 დღემდე გაზრდას ითხოვენ. გარდა ამისა, სურთ, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული უქმე დღეები მათაც დაუკანონდეთ. რაც შეეხება მესამე მოთხოვნას, ეს ავადმყოფობის შემთხვევაში გაუთვალისწინებელი დასვენების დღეების რაოდენობის, ე.წ. საავადმყოფო ფურცლის დღეებზე გასვლის რაოდენობის გაზრდას შეეხება.**

**როგორც დეპუტატი აცხადებს, სამივე მოთხოვნასთან დაკავშირებით მაღაროელებსა და დამქირავებელ კომპანიას შორის შეთანხმება მიღწეული იყო, თუმცა მაღაროელების ახლანდელი პროტესტი პირობის შეუსრულებლობამ და პროცესის გაჭიანურებამ გამოიწვია.**

**ჭიათურის მაღაროელები 2012 წლის შემოდგომაზეც იყვნენ გაფიცულები.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებანი დასავლეთის კურსის შესაბამისად არის შეფასებული

საქართველოს მმართველმა კოალიციამ ოპოზიციას შესთავაზა საპარლამენტო შეთანხმების პროექტი, რომელიც ადასტურებს ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში შესვლის კურსს. პრეზიდენტის პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გააკრიტიკა დოკუმენტი, მოითხოვა დადასტურებული ყოფილიყო თბილისის კურსი სპეციალური ცვლილებით კონსტიტუციაში. უამისოდ ოპოზიცია უარს აცხადებს, განიხილოს შესწორებები ძირითად კანონში, რომლებიც ამცირებენ პრეზიდენტის უფლებამოსილებებს.

„საპარლამენტო ფრაქციების შეთანხმება საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის შესახებ“, რომელიც დაამუშავა ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა ქართველმა დიპლომატმა თედო ჯაფარიძემ, უნდა გახდეს ნაწილი გარიგებისა მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და პრეზიდენტის ოპოზიციურ პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის. ოპოზიცია მზად არის, დაეთანხმოს სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებათა შემცირებას იმ პირობით, თუ კანონმდებლურად იქნება დადასტურებული საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის ურყეობა და ევრაზიულ კავშირში შეუსვლელობა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერები მიუთითებენ ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილებაზე. „საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ მათ თავიანთ კონსტიტუციებში შეიტანეს პროდასავლური კურსის იურიდიული გარანტიები, და ეს მათ დაეხმარა ნატოსა და ევროკავშირში შესვლაში“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში გოკა გაბაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობამ ასეთი საკონსტიტუციო გარანტიები ზედმეტად მიიჩნია. „ჩვენ არ გვაქვს განზრახული, სამუდამოდ დავწვათ ყველა ხიდი“, – განაცხადა „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელმა დავით საგანელიძემ. შედეგად იშვა ფრაქციათაშორისი შეთანხმების პროექტი, რომელიც შედგება 14 პუნქტისგან და რომლებშიც დეკლარირებულია ნატოსა და ევროკავშირში შესვლის კურსის უცვლელობა. ამ დროს ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ნახსენებია, როგორც თბილისის „მთავარი მოკავშირე“.

ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს დოკუმენტის მე-9 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური სტილის ძირეულ ცვლილებას. „საქართველოს ინტერესებში შედის, რომ იგი არ ფიგურირებდეს იმ საკითხების სიაში, რომლებიც იწვევენ დასავლეთის რუსეთთან ურთიერთობის დაპირისპირებას. საქართველო მზად უნდა იყოს, დაიწყოს პირდაპირი დიალოგი რუსეთთან, გამოიყენოს საერთაშორისო მექანიზმები, რათა შეიმუშაოს კრიზისის ეტაპობრივი დაძლევის სტრატეგია, ქვეყნის დეოკუპაცია და სუვერენიტეტის დაცვა“, – ნათქვამია დოკუმენტის პროექტში.

ამ თეზისმა პრეზიდენტის პარტიის მკვეთრი გაღიზიანება გამოიწვია. „რუსეთსა და საქართველოს შორის იყო ომი, რომლის შედეგებიც ჯერ აღმოფხვრილი არ არის, ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი ხომ ოკუპირებულია“, – განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა. მისი აზრით, თუ საქართველო იხელმძღვანელებს „ჯაფარიძის პრინციპით“, იგი „დაკარგავს შესაძლებლობას, მოახდინოს აპელირება დასავლეთისკენ და აღმოჩნდება რუსეთთან დამღუპველ მარტოობაში“.

ამ აზრს ეთანხმება ზოგიერთი ექსპერტი. „რა გამოდის? როდესაც პრეზიდენტი ობამა და დასავლეთის სხვა ლიდერები საუბრობენ რუსეთთან აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საკითხზე შენარჩუნებულ უთანხმოებაზე, ჩვენ თვითონ უნდა ვიყვიროთ: „მოგვეშვით, არ გვსურს, ვიყოთ განხეთქილების ვაშლი“? – გაოცებულია ჩვენთან საუბარში დიპლომატიური აკადემიის ყოფილი რექტორი იოსებ ცინცაძე. პოლიტოლოგის აზრით, „იმდენად, რამდენადაც თავად საქართველოს არ შეუძლია, განახორციელოს ქვეყნის დეოკუპაცია, დასავლეთის დახმარება ამ საკითხში უკიდურესად აუცილებელია“.

ნებისმიერ შემთხვევაში ოპოზიცია დაბეჯითებით მოითხოვს პროდასავლური კურსის გარანტიის გაფორმებას კონსტიტუციაში სპეციალური ცვლილებით. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, იგი მოუწოდებს ოპონენტებს, მხარი დაუჭირონ შეთანხმების პროექტს და ნუ ეძებენ მიზეზებს უარისთვის. „საქართველოს პროდასავლური კურსი საუკუნეებს ითვლის და ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ჩვენ უნდა მოვნახოთ ჩვენი არაკონფრონტაციული ნიში საერთაშორისო ურთიერთობებში“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ.

შეთანხმების პროექტის განხილვა დაიწყება უახლოეს პერიოდში კონსტიტუციაში ცვლილებების განხილვის პარალელურად, რომლებიც ართმევს პრეზიდენტს შესაძლებლობას, დაითხოვოს მთავრობა პარლამენტის ნებართვის გარეშე. სხვათა შორის, ყველა გამოკითხულმა დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დაადასტურა, რომ დაეთანხმებიან სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებათა შეკვეცას მხოლოდ იმ პირობით, თუ იქნება საგარეო-პოლიტიკური კურსის მემკვიდრეობის კონსტიტუციური გარანტიები. „ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ, რომ ორივე ეს საკითხი განხილულ იქნეს ერთ პაკეტში“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში წყარომ კოალიციურ ფრაქცია „საპარლამენტო უმცირესობიდან“.

**Коммерсантъ**

**წმინდა ტახტი**

## იოზეფ რატცინგერი:

# რწმენა უმწიკვლო უნდა იყოს



ბოლო ათასწლეულის მანძილზე წმინდა ტახტის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა რომის პაპმა პონტიფიკოსობაზე უარი განაცხადა და საკუთარი ნებით გადადგა. უკანასკნელად ეს ნაბიჯი პაპმა გრიგოლ XII გადადგა, ახლა კი ასევე ბენედიქტე XVI მოიქცა, რომელიც ტახტს ოფიციალურად 28 თებერვალს დატოვებს, მისი მემკვიდრე კი 31 მარტს კათოლიკური აღდგომის დადგომამდე უნდა აირჩიონ.

ბენედიქტე XVI რომის პაპად 2005 წელს აირჩიეს და იგი ყველაზე ხანდაზმული კარდინალი გახდა, რომელიც ოდესმე წმინდა ტახტზე ასულა. როცა მისი წინამორბედი იოანე-პავლე II გარდაიცვალა, კარდინალი იოზეფ რატცინგერი საეკლესიო საქმეებს ჩამოშორებას ფიქრობდა. მისივე თქმით, პაპობა მაინცდამაინც არ სურდა, თუმცა კი, არჩევანი სწორედ მასზე გაკეთდა. თუკი მისი პაპობის დროს ვინმე კათოლიკურ ეკლესიაში ახალი ეპოქის მშვიდობიანად დადგომას ელოდა, იმედი გაუცრუვდა.

ბენედიქტე XVI მსოფლიოში უდიდესი ქრისტიანული კონფესიის მართვას იმ დროს შეუდგა, როცა მის ირგვლივ მღვდელმსახურთა მიერ ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით არნახული სკანდალი აგორდა, თუმცა კი, ეს არ იყო ერთადერთი პრობლემა, რომლს წინაშე ეს უძელესი ინსტიტუტი აღმოჩნდა. მღვდელმსახურთა მიმართ სასამართლოში შეტანილი სარჩელთა და ოფიციალურ ანგარიშთა პიკი, სადაც ლაპარაკი კათოლიკე მღვდელმსახურთა მიერ ბავშვთა მიმართ ჩადენილი სექსუალურ ძალადობაზე იყო, 2009-10 წლებში იყო. და, როგორც ჩანს, სწორედ ეს გახდა ბენედიქტე XVI პაპობის პერიოდის განმსაზღვრელი თემა. განსაკუთრებით უსიამოვნო ბრალდებები ის იყო, რომ ადგილობრივი საეპისკოპოსოები – ზოგჯერ თავად ვატიკანიც – ხშირად ასეთი ფაქტების დამალვაში მონაწილეობდნენ, რაც პედოფილ მღვდელმსახურებს სასჯელისგან თავის არიდების საშუალებას აძლევდა. ეკლესიის ზოგიერთი იერარქი ბრალდებათა უარყოფას და ყოველივეს ჩირქის მოცხების მცდელობად გამოცხადებას ეცადა, მაგრამ პაპმა განაცხადა, რომ არ შეიძლება პასუხისმგებლობისგან თავის არიდება და „ეკლესიის შიგნით ცოდვებზე“ მიუთითა. მან ძალადობის მსხვერპლთ ბოდიში მოუხადა, ყველა საზარელი შემთხვევის გასაჯაროების აუცილებლობაზე მიუთითა და, ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, საეკლესიო წოდების დაჩქარებულად აყრის წესი დაადგინა.

იოზეფ რატცინგერი ექვსი წლისა იყო, როცა გერმანიაში ძალაუფლებაში ნაციონალ-სოციალისტები მოვიდნენ. 1941 წელს იგი ჰიტლერიუგენდში შევიდა და საზენიტო ბატალიონშიც კი მსახურობდა, თუმცა კი, ნაცისტების დამარცხებმდე ცოტა ხნით ადრე იდეზერტირა. კათოლიზმმა რატცინგერი ომის შემდგომ გაიტაცა. 1960 წელს მეორე ვატიკანურ სობოროზე იგი კათოლიკური ეკლესიის მოდერნიზებისა და რეფორმირების აუცილებლობის შესახებ სიტყვით გამოვიდა. მაგრამ 1968 წელს ევროპას პროტესტების ტალღამ გადაუარა, რამაც იოზეფ რატცინგერს თეოლოგიურ ლიბერალიზმზე ხელი აალებინა.

1981 წელს პაპმა იოანე-პავლე II კარდინალი რატცინგერი რწმენის დოქტრინის კონგრეგაციის – ყოფილი წმინდა ინკვიზიციის – ხელმძღვანელად დანიშნა, რითაც საეკლესიო ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა შეუქმნა. შემდგომ კარდინალი რატცინგერი იოანე-პავლე II იდეების გამგრძელებლად იქცა. იგი აბორტების, ჰომოსექსუალობის, ფემინიზმის, ასევე როკ-მუსიკისა და ჰარი პოტერის შესახებ წიგნების წინააღმდეგ გამოდიოდა. კათოლიციზმს იგი ერთადერთ ჭეშმარიტ რწმენად მიიჩნევს, დანარჩენებს კი არასრულფასოვნად თვლის. რატცინგერი, როგორც უფროსი კარდინალი, იოანე-პავლე II დაკრძალვას ხელმძღვანელობდა.

მაგრამ მორიდებული რატცინგერს მუდამ აკლდა წინამორბედის შარმი და ქარიზმა. 2006 წელს გერმანიაში საჯარო ლექციის დროს პაპმა ისლამის მიმართ XIV საუკუნეში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების ციტატები მოიყვანა, რამაც ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყანაში მასობრივი პროტესტები გამოიწვია. ამის შემდეგ პონტიფიკოსს ბოდიშის მოხდა მოუწია, განეცხადებინა, რომ ეს გამონათქვამები მის საკუთარ შეხედულებებს არ გამოხატავს. ასევე ბოდიშის მოხდა კათოლიკე მღვდელმსახურ-პედოფილთა საქციელზე მას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში მოუხდა.

ცხოვრების მთავარ მიზანს იოზეფ რატცინგერი ეკლესიის შიგნით რწმენის შესუსტებასთან და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი მარგინალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ხედავს, ხოლო წმინდა ტახტიდან გადადგომის შემდეგ მონასტერში ცხოვრებას და წიგნის დაწერას აპირებს.

ბენედიქტე XVI მმართველობას გარდამავალი შეიძლება ეწოდოს: იგი წინა თაობების რელიგიური პრინციპებისა და ახალი საზოგადოებრივი მოთხოვნების შეთავსებას ცდილობდა. ამასთან, მას ღრმად სწამს, რომ საზოგადოებისთვის მსახურების გასახანგრძლივებლად კათოლიკურმა რწმენამ პირვანდელი უმწიკვლობა უნდა შეინარჩუნოს, თუნდაც ამას მრევლის შემცირება მოყვეს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკელი გადარჩა სასწაულებრივ, როდესაც ჩამოვარდა 4 კილომეტრის სიმაღლიდან გაუმართავი პარაშუტით**

ჩანაწერებში ჩანს, თუ როგორ გადმოხტა თვითმფრინავიდან ფლორესი და ცაში აღტაცებული ყვიროდა სიხარულისგან. როგორც მოგვიანებით ექსტრემალმა ისაუბრა, უკვე თავისუფალი ვარდნის რამდენიმე წუთის შემდეგ მან იგრძნო დარტყმა, ვინაიდან პარაშუტი მოულოდნელად დროზე გაცილებით ადრე გაიხსნა.

* * *

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი აფრიკაში გაემგზავრა, რათა შეუთანხმდეს მათ დასავლეთის წინააღმდეგ, მიაჩნიათ ექსპერტებს**



თავისი პირველი ვიზიტი მინისტრმა ალჟირში შეასრულა, სადაც განიხილა სიტუაცია მეზობელ მალიში, სადაც გააქტიურდნენ ისლამისტები. რუსეთის ფედერაცია პროტესტს აცხადებს დასავლეთის ამგვარ კონფლიქტებში ჩართვის წინააღმდეგ. აფრიკის იგივე ხელისუფალთა უკმაყოფილება დაეხმარება მას განიმტკიცოს პოზიციები კონტინენტზე.

* * *

**მექსიკის ყურეში ცდილობენ, გადაარჩინონ კრუიზული ლაინერი „კარნივალ ტრიუმფი“ 4 ათასი მგზავრით და გაჩერებული ძრავებით**



კვირას ხომალდზე ხანძარი გაჩნდა, მგზავრებიდან არავინ დაზარალებულა, მაგრამ ლაინერის ძრავები მწყობრიდან გამოვიდა. ხომალდი გაჩერდა და გადაიხარა. მგზავრებს არ ჰყოფნით საკვები და წყალი. ლაინერის დასახმარებლად გავიდნენ ბუქსირები. „კარნივალ-ტრიუმფი“ ეკუთვნის იმ კორპორაციას, რომლისაც სამწუხაროდ ცნობილი ლაინერი „კოსტა კონკორდია“.

* * *

**ჩრდილოეთმა კორეამ განახორციელა მესამე ბირთვული გამოცდა**

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დააფიქსირეს მიწისძვრა მაგნიტუდით 5,1 და ეპიცენტრით ატომური პოლიგონის რაიონში. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ფხენიანმა წინასწარ გააფრთხილა ტესტების შესახებ ვაშინგტონი და სეული, თუმცა მოსკოვის შესახებ დაივიწყა. ასე რომ, იქ გამოცდის მოწყობა დაგმეს, ქვეყნის მეორე ბოლოში კი რატომღაც ვერ შეამჩნიეს მიწისქვეშა ბიძგები.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# „მამობრივი დარიგებანი“ დედათა მონასტრიდან

**„ნუ ხარ ჯიუტი, იყავი თავმდაბალი. ნუ გგონია, რომ რაღაცას წარმოადგენ, რადგან ეს ამპარტავნებაა, ღმერთს კი სძაგს ამპარტავნები. შვილო, მუდამ იფიქრე, რომ ამქვეყნად უცოდვილესი ხარ და თუ ღვთის მადლი მიგატოვებს, სამყაროში არსებულ ყველანაირ ბოროტებას ჩაიდენ!“**

თანამედროვე ქართველ პოლიტიკოსთათვის დასტურ ყურადსაღები ეს რჩევა ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვან მამობრივ დარიგებათაგან, რომლებითაც გაძეძგილია თანამედროვე მართლმადიდებელი სამყაროს უდიდესი ასკეტის ეფრემ ფილოთეველის წიგნი.

წიგნის პრეზენტაცია 2013 წლის იანვრის ბოლო დღეს შედგა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში. საუბარია ამ წიგნის ქართულ თარგმანზე, რომელიც ახალი შუამთის ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონასტერში განასრულეს შუამთელმა დედებმა და რომელიც საზოგადოებას მათმა სულიერმა მოძღვარმა, აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა დავითმა წარუდგინა.

წიგნის წარდგინებას ესწრებოდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ მაღალყოვლადუსამღვდელოესი მეუფენი: მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია და სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია.

შუამთის მონასტრის იღუმენიამ, დედა იოანამ წაიკითხა ფილოთეოს მონასტრის იღუმენის ნიკოდიმოსის წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის მიმართ. ამ წერილით გაირკვა, რომ ფილოთეველი მამები წიგნის პრეზენტაციაზე ჩამოსვლას აპირებდნენ, მაგრამ სამდღიანმა ავდარმა ათონის მთიდან მათი გამომგზავრება შეუძლებელი გახადა.

ამ კედლებში არაერთი წარდგინება გამართულა, მაგრამ სულიერებით ასეთი დამუხტული წიგნის განხილვა მე არ მახსოვსო, – თქვა ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ, რომელიც პრეზენტაციას უძღვებოდა.

ეფრემ ფილოთეველის „მამობრივი დარიგებანის“ ერთ ნაწილს პირველად ხუთიოდე წლის წინათ გაეცნო ქართველი მკითხველი. აი, რას წერს ამ, მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ახალი შუამთის ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონასტრის იღუმენია, მონაზონი იოანა:

**„ბერ ეფრემ ფილოთეველს პირველად 1994-1995 წლებში, ჩვენი მონაზვნური ცხოვრების დასაწყისში შევხვდით. ამ შეხვედრით მიღებულსა და განცდილს გულით ატარებს თითოეული ჩვენგანი. პატერიკებში ამოკითხული თვალწინ გაგვიცოცხლდა. ვხედავდით, ვუსმენდით ღვაწლითშემოსილ ბერს, რომელმაც მისცა სისხლი და მიიღო სული... მასთან ჩვენი პირველი შეხვედრისას ათონის ფილოთეოს მონასტრის მამებს „მამობრივი დარიგებანი“ უკვე გამოცემული ჰქონდათ. ეს ღვთივსულიერი მამის წერილებია, რომლებიც მონაზვნური ღვაწლის შედეგად შეძენილი გამოცდილებით და სიბრძნით არის დაწერილი. სამშობლოში დაბრუნებულებმა თან წამოვიღეთ წიგნი, როგორც კეთილი მეგზური არჩეულ გზაზე და ჩვენი სულიერი მამის, აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის ლოცვა-კურთხევით მისი თარგმნა დავიწყეთ. მაშინ წიგნის გამოცემაზე არ გვიფიქრია. თავიდან ვთარგმნიდით შერჩევით. ვთარგმნიდით ჩვენთვის, ჩვენი მონასტრის კრებულისთვის, თუმცა ვგრძნობდით ჩვენი თანამედროვე დიდი მონაზვნური გამოცდილების მქონე მამის წერილებისა და ქადაგებების ქართულ ენაზე გამოცემის აუცილებლობას. მონასტერში გადაწერილი თარგმანები დიდი ხნის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა. შემდეგ ჟურნალ „მოყვასში“ – ალავერდის ეპარქიის პერიოდულ გამოცემაში – თემატურად შერჩეული წერილების ნაწყვეტებად ბეჭდვა დავიწყეთ“.**

მერე ის იყო, ათი თავი გამოაქვეყნეს. და აი, წიგნის სრული გამოცემაც.

**„მამა ეფრემის რჩევით, წიგნზე რამდენიმე მონაზონი მუშაობდა,** – წერს თავის წინასიტყვაობაში დედა იოანა, **– გვწამს, რომ მისი ლოცვა-კურთხევა უმთავრესისკენ მიგვიძღოდა, რომ წაკითხული ჩვენი გულების გარეთ არ დარჩენილიყო და ვნებებთან ბრძოლასა და სულიერი გამოცდილების შეძენაში დაგვხმარებოდა“.**

იმის მიუხედავად, რომ ბერი ეფრემ ფილოთეველი დღეს არიზონაში, მის მიერვე დაარსებულ წმინდა ანტონ დიდის მონასტერში მოღვაწეობს და არიზონელადაც მოიხსენიება, იგი ათონელი მამაა. 1947 წელს, როცა საბერძნეთის პატარა ქალაქ ვოლოსში დაბადებულმა იოანის მორაიტისმა, ათონის მთას მიაშურა და უდიდეს ათონელ მამას, წმინდა იოსებ ისიქასტს დაემოწაფა, იგი მხოლოდ 19 წლისა იყო.

ბერმა ეფრემმა, როგორც მისი მოძღვრის ღირსეულმა მოწაფემ, მალე გაითქვა სახელი მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში. ჯერ იყო და, ფილოთეოს მონასტერს ძველი სახელი და დიდება დაუბრუნა, მერე კი ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურა და მოკლე ხანში 19 მონასტერი დააარსა.

მისი ქადაგებებისა და საუბრების წიგნი პირველად 1989 წელს გამოიცა. ეს წიგნში მისი სამოცწლიანი მონაზვნური პრაქტიკის შედეგად მიღებული გამოცდილების შედეგია. ეფრემ ფილოთეველის დარიგებანი ერთგვარი პრაქტიკული ღვთისმეტყველებაა – აქ ნაკლებია თეორია და ფილოსოფია, მოძღვარი ყველასათვის გასაგები ენით უზიარებს მკითხველს თავის უმდიდრეს სულიერ გამოცდილებას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ბერის დარიგებათა უმეტესობა არა მხოლოდ მღვდელმონაზონთა, არამედ ერისშვილთათვისაა განკუთვნილი.

60-იანი წლების ბოლოს მართლმადიდებლობას ამერიკის კონტინენტზე დიდად გაუჭირდა და მალე იქნებ სულაც მოსპობილიყო, რომ არა ეფრემ ფილოთეველის ძალისხმევა, რომელიც ამერიკის კონტინენტზე პირველად 1972 წელს ჩავიდა და შეუძლებელი შეძლო: მან მამათა და დედათა მონასტრებით მოფინა ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა. იმ ცხრამეტის გარდა, კიდევ ორი მონასტერი დღეს მშენებლობის პროცესშია. ეფრემ ფილოთეველის მიერ ამერიკის კონტინენტზე დაარსებული ყველა მონასტერი ათონის ტიპიკონით სარგებლობს და იოსებ ისიქასტის მოძღვრებით ხელმძღვანელობს. ბერძენი ემიგრანტების გარდა, ეფრემ ფილოთეველის მიერ დაარსებულ მონასტრებში მრავალი სხვა ერის წარმომადგენელი ემსახურება უფალს. მათ შორის არიან მართლმადიდებლებად მოქცეული ყოფილი მორმონები, მუსულმანები, ინდუისტები, იუდეველები, კათოლიკეები და პროტესტანტები...

წმინდა ანტონი დიდის მონასტერი, სადაც დღეს ბერი ეფრემ ფილოთეველი მოღვაწეობს, ყველაზე პოპულარული ადგილია არიზონაში, ამერიკის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსშესანიშნაობის – დიდი კა-





ნიონის შემდეგ. არიზონის უდაბნოს ეს ნაწილი, სადაც სიცხე 45-50 გრადუსს აღწევს ხოლმე, ათონელ ბერთა მცირე საძმომ ეფრემ ფილოთეველის მეთაურობით, არათუ ოაზისად, ფინიკის, ფორთოხლისა და ზეთისხილის ხეებით, აგრეთვე ვენახით დამშვენებულ წალკოტად აქცია. უდაბნოში, სადაც 1995 წლამდე გადამხმარი ბალახიც კი სანთლით საძებნელი იყო, დღეს ორი ათასზე მეტი სახეობის მცენარე ხარობს. წყალი ბერის მიერ მინიშნებულ ადგილას რაღაც სასწაულით იპოვეს 980 მეტრის სიღრმეზე: მამა ეფრემს წმინდა ანტონი დიდი გამოცხადებია და ზუსტად მიუთითებია, სად უნდა გაეთხარათ ჭა.

წმინდა ანტონი დიდის მონასტერი 1995 წელს აკურთხეს. საკუთრივ წმინდა ანტონი დიდის სახელზე აგებული კათოლიკონის გარდა, სამონასტრო კომპლექსში შედის კიდევ შვიდი ტაძარი: სერაფიმ საროველის, ილია წინასწარმეტყველის, წმინდამოწამე პანტელეიმონის, წმინდა გიორგის, წმინდამოწამე დიმიტრის, წმინდა ნიკოლოზისა და იოანე ნათლისმცემლისა.

მონასტერს ერთდროულად 500 მომლოცველის მიღება, დაბინავება და გამასპინძლება შეუძლია. მონასტრის წინამძღვარია ათონელი მონაზონი პაისი, მონასტრის ერთ-ერთი აღმშენებელი, რომელიც ეფრემ ფილოთეველთან და ხუთ სხვა ძმასთან ერთად ჩავიდა ამერიკის კონტინენტზე. თავად ბერი ეფრემი კი მონასტრის მმართველობაში არ ერევა, თუმცა იგი მის მიერ დაარსებული ყველა მონასტრის სულიერი მამაა. გარდა ამისა, იგი მოძღვარია მრავალათასიანი მრევლისა, რომელთა შორის, ამერიკელების გარდა, ევროპელებიც მრავლად არიან.

მათი უმეტესობა კარგად იცნობს ამ წიგნს, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ინგლისურადაც არის ნათარგმნი. იცნობს და ითვალისწინებს კიდეც ეფრემ ფილოთეველის მამობრივ დარიგებებს ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ მსახურებაში. ან როგორ გინდა ყურად არ იღო, მაგალითად, ასეთი სიტყვები:

**„დროს დაუნანებლად ვფლანგავთ. როცა ამ სოფლიდან წავალთ, მაშინ მივხვდებით, დროის ხელიდან გაშვებამ როგორი ზიანი მოგვიტანა. დღეები ანგარიშმიუცემლად გადის. ისიც კი მაცხონებელი იქნება ადამიანისთვის, რომ ეს სიცოცხლის ბოლოს მაინც გააცნობიეროს“.**

რამდენიმე წლის წინათ შუამთელი დედები მამა ეფრემს უკვე წმინდა ანტონი დიდის მონასტერშიშეხვდნენ და „მამობრივი დარიგებანის“ სრულად თარგმნისა და ქართულ ენაზე გამოცემის ლოცვა-კურთხევა გამოსთხოვეს. გამოსთხოვეს და მიიღეს კიდეც. ამის დამადასტურებელი ბერძნული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი წინ უძღვის წიგნს:

**„დიდი სიყვარულით და ლოცვა-კურთხევით ნებართვას ვაძლევ ჩემს სულიერ შვილებს ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტერში, ქართულად გამოსცენ ჩემი წიგნი „მამობრივი დარიგებანი“. მდაბალი ბერი ეფრემი“.**

ამას მოსდევს ფილოთეოს მონასტრის მამათა მოკლე შესავალი, რომლითაც ვიგებთ, თუ როგორ შეიქმნა ეს წიგნი.

**„ჯერ კიდევ წლების წინ ვცადეთ ჩვენი პატივცემული მოძღვრის სულიერი შვილებისადმი მიწერილი წერილების შეკრება. ადრესატებმა, მონაზვნებმა და ერისკაცებმა, ისინი თხოვნისთანავე გამოგვიგზავნეს“.**

წიგნის შექმნის ამბავს ბერძნული გამოცემის წინასიტყვაობაში აზუსტებს არქიმანდრიტი იოანიკე ათონის წმინდა ტრიფონის კელიიდან:

**„წიგნში წარმოდგენილ საკითხთა ნაწილი სულიერი შვილებისადმი მიწერილ წერილებშია გულმოდგინედ განხილული, ნაწილი კი შეკრებებზე წარმოთქმულ სიტყვებში, რომლებიც მაგნიტოფონზეა ჩაწერილი. აღნიშნული მიზეზის გამო ყველა ტექსტს პირადი შეხებისა და უშუალო ურთიერთობისთვის დამახასიათებელი სისხარტე ახასიათებს“.**

ფილოთეოს მონასტრის მამათა და არქიმანდრიტ იოანიკეს ტექსტებს იღუმენია იოანას წინასიტყვაობა მოსდევს ქართული გამოცემისათვის. სხვათა შორის, ამ წინასიტყვაობას დედა იოანა ხელს აწერს „ქრისტესმიერ დებთან ერთად“, იმ მონაზვნებთან ერთად, რომელთაც განასრულეს ეს თარგმანი, მაგრამ რომელთა სახელები მკითხველისთვის, მათივე ნებით, უცნობი დარჩა.

მე არაერთხელ ვყოფილვარ შუამთის მონასტერში, ვიცნობ დედა იოანას, ვიცნობ მის ქრისტესმიერ დებს, მათ შორის ვიცნობ კელიოტებსაც – მონაზვნებს, რომლებიც კიდევ უფრო განმარტოვდნენ და მოშორებით, მათ მიერვე აგებულ კელიაში დაიდეს ბინა. ვიცი, როგორი სათნონი, როგორი განათლებულნი და როგორი თავდადრეკილნი არიან ისინი; ვიცი, როგორ მივიდნენ ახლადშემონაზვნებული ახალგაზრდები შიშველი ხელებით შუამთაში; ვიცი, როგორ განაახლეს და განამშვენიერეს მონასტერი დაუღალავი შრომით; ვიცი, როგორი სულიერება სუფევს შუამთაში მათი წყალობითა და ძალისხმევით; ვიცი, როგორი რუდუნებით მუშაობდნენ ამ თარგმანზე, რომელიც ქართული და ბერძნული ენების სრულყოფილ ცოდნასათან ერთად დიდ შრომისმოყვარეობასა და სიყვარულსაც მოითხოვს.

მე ვიცი, როგორ მზადდებოდა ამ წიგნის კომპიუტერული მაკეტ-ორიგინალი შუამთის მონასტრის მეტოქში, თბილისთან ახლოს, ჩაკიდული თხემების წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანეში; ვიცნობ მონაზონს, რომელმაც ესოდენი ოსტატობით დააკაბადონა ეს ამ თვალსაზრისითაც არცთუ მარტივი წიგნი.

და მე მინდა, ჩემი, და არა მარტო ჩემი, ამ წიგნის ყველა მკითხველის სახელით დიდი მადლობა ვუთხრა ყველა მათ, რომ ასეთი შრომა იდეს თავს, რომ ასეთი სულიერი საზრდო მისცეს ქართულ საზოგადოებას, რომ საკუთარი მაგალითით გვაჩვენეს, როგორ შეიძლება მონასტერი XXI საუკუნეშიც მძლავრ კულტურულ-საგანმანათლებლო კერად იქცეს.

ძნელია საგაზეთო რეცენზიაში თუ კორესპონდენციაში ჟურნალისტმა დასძლიო ცდუნება და არ გაამჟღავნო შენს ხელთ არსებული და მკითხველთათვის დასტურ საინტერესო ინფორმაცია, მაგრამ რაკი შუამთელმა დედებმა თავად ინებეს უსახელოდ დარჩენა და თავისი ნამუშაკევი თავდადრეკით მოგვართვეს მკითხველთ, მეც არ ჩამოვთვლი მათ სახელებს და ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე მივულოცავ ამ დიდი შრომის გასრულებას.

თითქოს ალავერდელ დედებზეა ნათქვამი ეფრემ ფილოთეველის სიტყვები:

**„სიმდაბლის გარეშე შესრულებულ საქმეს მტკიცების ბეჭედი არ აქვს, ხოლო როგორც კი სიმდაბლესთან თანაზიარი ხდება, მაშინვე ძალაში შედის.“**

ცალკე და გამორჩეული მადლობა ეკუთვნის აბბა ალავერდელ მეუფე დავითს, შუამთელ დედათა სულიერ მოძღვარს, რომლის ლოცვა-კურთხევითაც დაიწყო და გასრულდა ეს საქმე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი



თანამედროვე საქართველოს გამორჩეული მოღვაწეა და არა მარტო საეკლესიო სფეროში. მასზე ბევრია თქმული და კიდევ უფრო მეტი ითქმება მომავალში. მის მრავალმხრივ მოღვაწეობას ის ფაქტიც უსვამს ხაზს, რომ ეპარქიის მეთაურობასთან ერთად, მას სხვაც მრავალი საქმე აქვს მინდობილი უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქისა და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ: დღეს იგი ერთდროულად არის საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების ცენტრის თავმჯდომარე, საპატრიარქოსთან არსებული საეკლესიო გალობის ცენტრის თავმჯდომარე და სოფლის მეურნეობის ცენტრის თავმჯდომარე.

ალავერდის მონასტრის სახელგანსმენილი ღვინის ტრადიციის აღდგენაც მეუფე დავითის სახელს უკავშირდება. ალავერდული ღვინის დაჭაშნიკება სასიამოვნო სიურპრიზად დარჩება ამ წიგნის პრეზენტაციის თითოეულ დამსწრეს.

დაბოლოს, თითქმის შეუმჩნეველი წარწერა ეფრემ ფილოთეველის წიგნის სულ-სულ ბოლო გვერდზე:

**„მხატვრული გაფორმება ეკუთვნის აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითს“.**

ეს წარწერა, შეიძლება, მართლა შეუმჩნეველი დარჩეს მხოლოდ წიგნის შინაარსს მიყურადებული რომელიმე მკითხველისთვის, მაგრამ საკუთრივ გაფორმება, მისი რაფინირებული სტილი, ზუსტი და ლაკონიური გამომსახველობითი საშუალებებით მიღწეული ემოციური მუხტი არავის დარჩება შეუმჩნეველი. წიგნის თავსართები და ბოლოსართები, წმინდანთა ფიგურები, რეალურ თუ ზღაპრულ ცხოველთა და მცენარეთა გამოსახულებანი, არქიტექტურული თუ კალიგრაფიული მოტივები ოსტატი გრაფიკოსის მიერ არის შესრულებული. მეუფის დახვეწილი ხელრთვა კი ცალკე აღტაცებასა და ხოტბას იმსახურებს.

ხოლო არქიტექტურა შემთხვევით არ მიხსენებია: მეუფე დავითი განათლებით არქიტექტორი ბრძანდება და მისი პროექტით მის მიერვე აგებული იოანე ნათლისმცემლის სავანე ამ კუთხით მისი დიდი ნიჭისა და ცოდნის დასტურია.

ორიოდე კვირის ამბავია, მაგრამ უკვე ლეგენდასავით ყვებიან, როგორ გამოვიდა მწყობრიდან მცირე ავარიის შედეგად ეპარქიის ავტომანქანა და როგორ შერჩა მეუფე რამდენიმე დღით მის მიერვე დაარსებულ და აშენებულ იოანე ნათლისმცემლის სავანეს, როგორ ჩაიკეტა მერე თავის პატარა სენაკში და როგორ გაასრულა იმ რამდენიმე დღეში წიგნის გაფორმება.

სტამბაზეც უნდა ითქვას – „სეზანზე“, რომელთანაც იოანე ნათლისმცემლის სავანის საგამომცემლო ცენტრს უკვე რამდენიმეწლიანი ურთიერთობა აკავშირებს და რომელმაც მაღალ დონეზე განახორციელა წიგნის გამომცემელთა ჩანაფიქრი. ტექსტის წითელი თავკიდური ასოები და გაფორმების მინიმალისტური წითელი ელემენტები გამოცემას ძველი ხელნაწერების სინგურიან ესთეტიკას აახლოებს.

ეფრემ ფილოთეველის ქართულ თარგმანზე და საერთოდ ბერძნულიდან ქართულად თარგმნის სირთულეებისა და თავისებურებების შესახებ ისაუბრა პრეზენტაციაზე ქართული უნივერსიტეტის პროფესორმა, ფილოლოგიის დოქტორმა ეკა დუღაშვილმა.

შაუმთელი დედების ნათარგმანებმა ჩემი ყურადღება ერთი საინტერესო და პრინციპული სიახლითაც მიიქცია, რომელსაც თავის წინასიტყვაობაში ასე განმარტავს შუამთის მონასტრის იღუმენია:

**„დღეს თანამედროვე სასულიერო ლიტერატურასა და მეტყველებაში სხვაგვარადაა დამკვიდრებული „ბერის“ და „მონაზვნის“ მნიშვნელობა. „ბერს“ უწოდებენ მონაზონ მამაკაცს, ხოლო „მონაზონს“ – მონაზონ ქალს. წინამდებარე თარგმანში ტერმინი „მონაზონი“ ორივე სქესის მოწესეს მიესადაგება, როგორც ამას მიანიშნებს აღკვეცის წესი, ხოლო „ბერი“ – „სულიერი ჰასაკის“ სისრულეს მიღწეული მონაზონია, რომელიც სულიერი გამოცდილებით მოძღვრავს და ასწავლის. მას სხვა მონაზვნებისგან „მოხუცებულობა გონებისა“ გამოარჩევს“.**

ასე გადაუსადაგეს შუამთელმა მონაზვნებმა სიტყვა „ბერი“ ბერძნულ „გერონტასს“ და რუსულ „სტარეცს“.

ეს შესანიშნავი გამოცემა საქართველოს პატრიარქის საიუბილეო თარიღებს ეძღვნება. წიგნის პირველსავე გვერდზე მეუფე დავითის ხელით წერია:

**„წიგნი გამოიცა მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადებიდან მე-80 წელს“.**

დაბოლოს:

შენდობას ვთხოვ მკითხველსაც და ამ გამოცემის მესვეურ-განმსრულებელთაც, თუ რამ ჩემი უმეცრებით ამ ჩემს ოპუსში ისე ვერ არის, როგორც ეს საქმე იმსახურებს.

**პაატა ნაცვლიშვილი**

**სურათებზე: ბერი ეფრემი; იოანე ნათლისმცემლის სავანე (მეუფე დავითის ნახატი); მეუფე დავითის ხელრთვა.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№27. ოთხშაბათი, 13 თებერვალი, 2013 წელი.

ჭიდაობა

# სამი „ოქრო“ და ერთი „ბრინჯაო“ — თურქეთიდან



**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ახალი მწვრთნელის — ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის რევაზ მინდორაშვილის ხელმძღვანელობით ჩვენმა ფალავნებმა ანკარაში იაშარ დოგუს 41-ე მემორიალში შესანიშნავად იასპარეზეს და ოთხი მედალი მოიპოვეს, ხოლო მასპინძლებისა და აზერბაიჯანელების შემდეგ საერთო გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს.**

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, რომელმაც ფინალში მონგოლი ნიამ-ოჩირ ენსხაისანი დაჯაბნა. მსგავს წარმატებას მიაღწია ელიზბარ ოდიკაძემ, რომელსაც 96 კილოში ორგზის ოლიმპიური პრიზიორისა და მსოფლიოს ჩემპიონ გიორგი გოგშელიძის შემცვლელად მიიჩნევენ. გადამწყვეტ პაექრობაში მან მსოფლიოს და სამგზის ევროპის ჩემპიონს, ოლიმპიადების ორგზის ბრინჯაოსმედალოსან ხეტაგ გოზიუმოვს (რუსეთი) აჯობა. ევროპის ჩემპიონმა გიორგი მარსაგიშვილმა ზედიზედ ხუთ მეტოქეს სძლია, მათ შორის — ფინალში მასპინძელ ხაკი ცეილანს და დამსახურებულად გავიდა პირველ ადგილზე. მესამე ადგილი 55 კილოში გიორგი ედიშერაშვილს ერგო.

ევროპის ჩემპიონატამდე (თბილისი, 19-24 მარტი) ქართველი ფალავნები 16-17 თებერვალს კიევის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებენ, ოღონდ იქ, ფაქტობრივად, სათადარიგოები გაემგზავრებიან. საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ბექა ლომთაძე (60), ზურაბ იაკობაშვილი (66), მამუკა კორძაია (96), დავით მოძმანაშვილი, გიორგი საკანდელიძე (ორივე - 120 კგ). იმედია, უკრაინის დედაქალაქიდან ისინიც მედლებით დახუნძლული დაგვიბრუნდებიან.

**გივი გაგუა**

კალათბურთი

# თსსუ ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა





**საკალათბურთო სუპერლიგის მონაწილე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი თსსუ, რომელსაც რექტორატი დააფინანსებს, მიმდინარე სეზონს დაასრულებს. ამის შესახებ თსსუ-ს აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა გია აბესაძემ განაცხადა.**

მისივე თქმით, მიმდინარე 2012-13 წლების საკალათბურთო სეზონში ნაჩვენები ცუდი შედეგების გამო, შრომითი ხელშეკრულება შეუწყდათ თსსუ-ს აწ უკვე ყოფილ მთავარ მწვრთნელს კახა შენგელიას და მის ერთ-ერთ თანაშემწე გოდერძი კორძაძეს. რაც შეეხება აბესაძეს, მან გუნდი საკუთარი სურვილით დატოვა.

„თსსუ-ში შენგელიას მოვალეობას მთავარი მწვრთნელის მეორე ასისტენტი თენგიზ ფიცხელაური ასრულებს. გუნდის ახალი ხელმძღვანელობის ვინაობა ამ კვირაში გაირკვევა“, — დასძინა აბესაძემ.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში თსსუ-ს ყოფნა-არყოფნის საკითხი იმის შემდეგ დადგა, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საკალათბურთო სუპერლიგის მონაწილე სტუდენტურ გუნდებს (თსუ, სტუ, თსსუ) დაფინანსება (ყოველწლიურად 300-300 ათასი ლარი) შეუწყვიტა.

საქართველოს XXII ეროვნული ჩემპიონატის 11 გუნდს შორის თსსუ-ს ჯერჯერობით ერთი მოგება აქვს და ბოლოსწინა — მე-10 ადგილზე იმყოფება.

მომდევნო, მე-2 წრის მე-3 ტურში „მედიკოსთა“ გუნდი ისვენებს.

სამთო თხილამურები

# ისევ დიდველზე, სპეციალური სლალომით



**წლეულს სამთო თხილამურობაში თასი შვიდ ეტაპად გათამაშდება. მესამე ეტაპს, წინა შეჯიბრების მსგავსად, სპეციალურ სლალომში ბაკურიანმა უმასპინძლა. დიდველზე თბილისის, აჭარის, მესტიის, ბაკურიანის, ბორჯომისა და გუდაურის 55 წარმომადგენელი ცდიდა ძალებს. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:**

**გოგონები. 1999-2000 წ.წ. დაბადებულები.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 1.45,17), 2. ანა ჩართოლანი (მესტია, 2.02,59), 3. ანა ოგბაიძე (გუდაური, 2.05,55). **1997-1998 წ.წ. დაბადებულები.** 1. ნუცა ხურცილავა (1.46,57), 2. ანა გორდეზიანი (ორივე — გუდაური, 1.58,50) (ხუთმა მონაწილემ მეორე დისტანცია ვერ ჩაამთავრა). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. სუსანა გავა (ბაკურიანი, 1.41,56), 2. ნატა მგელაძე (გუდაური, 2.04,30).

**ვაჟები. 1999-2000 წ.წ. დაბადებულები.** 1. ნიკოლოზ ცაგარელი (გუდაური, 1.39,36), 2. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.42,04). 3. დათო ნაზღაიძე (გუდაური, 1.45,01). **1997-1998 წ.წ. დაბადებულები.** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 1.30,63), 2. ვალიკო მარსაგიშვილი (გუდაური, 1.42,33), 3. ბესო ჯაფარიძე (მესტია, 1.46,40). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. შოთა ნათაძე (გუდაური, 1.24,94), 2. კოტე ვახტანგიშვილი (ბორჯომი, 1.25,09), 3. კახა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.26.27).

**ლაშა დიდია**

# ქართული ამბები ნბა-დან: შენგელია დაბრუნდა, ფაჩულია ორმაგს მიუახლოვდა

**სასიამოვნო ამბები ოკეანგაღმიდან: თორნიკე შენგელია განაცხადში დაბრუნდა, ზაზა ფაჩულიას ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა და თან ორივე „ქართულმა“ გუნდმა გასვლაზე მოიგო.**



თორნიკე შენგელიამ ნბა-ს განვითარების ლიგიდან დაბრუნების შემდეგ ტრავმის გამო განაცხადს მიღმა 5 მატჩი გაატარა და ინდიანაში გამართული შეხვედრის ოქმში ვიხილეთ, თუმცა, მატჩის დაძაბულობიდან გამომდინარე, ახალგაზრდა ქართველი მოედანზე არ გამოჩენილა. ამ ეტაპზე უფრო ისაა მნიშვნელოვანი, რომ ტრავმის შემდეგ შენგელია მწყობრში ჩადგა და სათამაშოდ მზადაა.

ბრუკლინელებმა კი აღმოსავლეთ კონფერენციისა და სრულიად ნბა-ს აღმოჩენა „ინდიანა“ სტუმრად, დამატებით დროში — 89:84 დაამარცხეს. მთელი 34 წუთი ათამაშეს შენგელიას კბილა და ქართველთან ერთად განვითარების ლიგაში მყოფი ტაიშონ ტეილორი, რომელმაც 12 ქულით გვარიანი სამსახური გაუწია ბრუკლინელებს, ხოლო კიდევ ერთი დებიუტანტი, თუმც უფრო მეტად გამოცდილი მირზა ტელეტოვიჩი მოედანზე 5 წუთით და სრულიად უსარგებლოდ გამოჩნდა.

არანაკლებ ძლიერი მეტოქე მისსავე ქალაქში დაამარცხა „ატლანტამაც“. ზაზა ფაჩულიას გუნდმა 2 წლის წინანდელი ჩემპიონი დალასში 105:101 განგმირა. მიუხედავად დროის სიმცირისა, ქართველმა ცენტრმა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წილი დაიდო. 16 წუთში ფაჩულიამ 8 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. ერთი ორქულიანით მეტი რომ ჩაეგდო, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ორმაგ დუბლს შეასრულებდა. არადა, ზაზამ 7 ორიანი ესროლა და მხოლოდ 3 ჩააგდო, ხოლო საჯარიმოს ხაზიდან 4 ცდიდან 2 მიითვალა. ქულა-მოხსნებთან ერთად ფაჩულიას ანგარიშზე 1 შედეგიანი გადაცემაც დაგროვდა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა.

ატლანტელებს 28 მოგება და 22 მარცხი აქვთ, რაც აღმოსავლეთში მე-6 ადგილის ტოლფასია. ბრუკლინელები კი 30 მოგება-28 წაგებით მე-5-ზე არიან. თამაშების მომდევნო დღე ორივე გუნდისთვის 13 თებერვალსაა: „ატლანტა“ ორლანდოში ითამაშებს, „ბრუკლინი“ კი „დენვერს“ მიიღებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

მძლეოსნობა

# „სპორტის დედოფლის“ ღირსეული ცვლა

**დიდუბის მანეჟში ორ დღეს გრძელდებოდა 1996-1998 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 200-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ამ შეჯიბრების მიზანი იყო ევროპის ახალგაზრდობის ევროპის პირველობისთვის, რომელსაც წლეულს ჰოლანდიური უტრეხტი უმასპინძლებს, ნაკრების კანდიდატთა შერჩევა. ახალგაზრდა მძლეოსანთაგან განსაკუთრებით ვანელმა მარი ძაგნიძემ იყოჩაღა.** მან არა მარტო ორი ოქროს მედალი მოიპოვა, არამედ ერთი კვირის წინათ ზამთრის ეროვნულ ჩემპიონატში ნაჩვენები საკუთარი შედეგები გააუმჯობესა: ეროვნულზე თარჯებით 60 მეტრი 9,98 წამში დაფარა, ამჯერად კი იმავე დისტანციაზე 0,68 წამით უკეთესი დრო აჩვენა. მასვე სიგრძეზე ხტომაში ერთი კვირის წინათ 511 სანტიმეტრით ვერცხლის მედალი ხვდა, თანატოლებთან პაექრობისას კი 544 სანტიმეტრით პირველი ადგილი დაიკავა.





საუტრეხტო ნაკრების წევრობის კანდიდატთაგან ასევე კარგი შედეგები აჩვენეს ზურაბ ხაბელაშვილმა, გურამ სამხარაძემ და გიორგი ონიანმა, სოფო მატიაშვილმა, ნინო წიქვაძემ (უროს ტყორცნა), თემურ აბულაშვილმა (ბადრო), გიორგი მუჯარიძემ (ბირთვი), მარი მარტინენკომ (400 მ). ახალგაზრდების შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ქართულ მძლეოსნობას ღირსეული ცვლა ეზრდება.

**ახლა კი გამარჯვებულთა ვინაობას გაგაცნობთ:**

**გოგონები. 60 მ.** დეა საზუაშვილი (8,32), ჯიმი მურადოვი (ორივე — თბილისი, 7,64), **60 მ/თარჯრბენი**. მარი ძაგნიძე (ვანი, 9,3), გიგა ბერძენიშვილი (თბილისი, 8,7). **200 მ**. ალექსანდრა მშვიდობაძე (თბილისი, 27,3), თორნიკე კვანტალიანი (ქუთაისი, 23,3), **400 მ.** მარი მარტინენკო (ახალციხე, 1.02,95), თორნიკე კვანტალიანი (53,94), **800 მ.** ნინა პაპიკიანი (ახალციხე, 2.36,9), ჯიმშერ ბუკია (ხობი, 2.10,9), **1500 მ**. ნინა პაპიკიანი (5.33,33), დათო ბექაური (თბილისი, 4.28,18), **სიმაღლეზე ხტომა.** ქრისტინა ზოლოტუხინა (145), საბა კურდღელია (ქუთაისი, 170), **სამხტომი.** ნესტან დათუნაშვილი (თბილისი, 10,82), საბა კურდღელია (13,03), **სიგრძეზე ხტომა**. მარი ძაგნიძე (ვანი, 544), ავთანდილ ტყეშელაშვილი (ქუთაისი, 6,10), **ურო.** სოფო მათიაშვილი (46,9). ზურაბ ხაბელაშვილი (ორივე — თბილისი, 55,6), **ბირთვი.** მარიამ ალექსეევა (ქუთაისი, 9,15), გიორგი მუჯარიძე (გორი, 14,84), **შუბი.** ანი კაპანაძე (თბილისი, 25,14), გიორგი კეთილაძე (ხონი, 36,45), **ბადრო.** ნათელა უშიკიშვილი (თიანეთი, 34,54), თემურ აბულაშვილი (თბილისი, 45,80).



**საერთო გუნდური**. I **ჯგუფი.** 1. თბილისი (330 ქულა), 2. ქუთაისი (253), 3. ახალციხე (239). II **ჯგუფი**. 1. ბორჯომი (106), 2. გორი (83), 3. ხობი (52).

**ლექსო ცინცაძე**

რეკორდი

# გოლეადორის ტრიუმფი

**ჩრდილოეთ ამერიკის ჰოკეის ეროვნული ლიგის შარშანდელ ჩემპიონატში, რომელშიც, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის საუკეთესო გუნდები მონაწილეობენ, ამ პირველობის რეკორდი დამყარდა.**



„ედმონტონ ოილერზისა“ და „ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსის“ შეხვედრა მასპინძლებმა ანგარიშით 8:4 მოიგეს. ისტორიაში კი ეს შეხვედრა იმით შევიდა, რომ „ედმონტონ ოილერზის“ თავდამსხმელმა სემ გარნიემ 8 ქულა მოაგროვა, ანუ თავისი გუნდის ყველა გოლის გატანაში მიიღო მონაწილეობა — ოთხი გოლი თავად შეაგდო და კიდევ ოთხი საგოლე გადაცემა შეასრულა.

ასევე, რვა ქულა ჰქონდა დაგროვილი 23 წლის წინათ დიდ მოთამაშეს მარიო ლემიეს, ოღონდ მაშინ მან მხოლოდ სამი გოლის გატანა შეძლო.

სხვათა შორის, შარშანდელი სეზონი იმითაც იყო გამორჩეული, რომ სტენლის თასი —პირველად თავის 45-წლიან ისტორიაში — „ლოს ანჟელეს კინგზმა“ აიღო.

**ირმა ირემაშვილი**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ახალი ჟურნალი

# 51-ე საჯარო სკოლის წარსულსა და მომავალზე...

**გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძის სახელობის თბილისის №51 საჯარო სკოლის ჟურნალი, რომელიც ინოვაციური განათლების ცენტრმა „კალამმა“ დასტამბა. თუ რატომ შეარჩია ცენტრმა მაინცდამაინც 51-ე საჯარო სკოლა, ახსნილია ანოტაციაში: „ინოვაციური ცენტრი „კალამი“ თავის საქმიანობაში იწყებს ახალ მიმართულებას — პოპულარიზაციას გაუწევს წარმატებულ საგანმანათლებლო სასწავლებლებს, რომლებიც წარსულში და დღესაც ნაყოფიერ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ და ეწევიან ჩვენი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ. ცენტრმა, პირველ რიგში, ყურადღება შეაჩერა თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საჯარო სკოლაზე, რომელიც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთ წარმატებულ სასწავლო დაწესებულებად ითვლება.**

ჟურნალი იხსნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დალოცვით, აქვე წაიკითხავთ 51-ე საჯარო სკოლის ჰიმნს, მის ისტორიას, რომელიც 1917 წლიდან იწყება და რომელსაც მაშინ ქალბატონი სოფიო ვახვახიშვილი ხელმძღვანელობდა. სკოლა პრესტიჟულ სასწავლებლად ითვლებოდა 1932-43 წლებში, პარმენ ქაჯაიას დირექტორობის პერიოდში და მას „პარმენის სკოლადაც“ მოიხსენიებდნენ. სკოლის ცხოვრების ფრაგმენტები გამოყენებულია კინოფილმში „ღიმილის ბიჭები“.

1954 წელს გადაწყდა, რომ 51-ე სკოლას გალაკტიონ ტაბიძის სახელი მინიჭებოდა.

2005 წლიდან დღემდე სკოლის დირექტორი ბატონი დავით ლაგვილავაა, რომელიც 2012 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საუკეთესო დირექტორად დასახელდა და ოქროს მედლით დააჯილდოვა. მისი ძალისხმევით სკოლა წარმატებული, და, შესაბამისად, მრავალრიცხოვანი გახდა, ხოლო 2010 წელს, საატესტაციო გამოცდების შედეგების მიხედვით, საუკეთესო ათეულში მოხვდა.

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის თბილისის .№51 საჯარო სკოლა ბრენდირებული სკოლების რიცხვში მოხვდა და ცხრა ვარსკვლავი მიენიჭა. ამჟამად სკოლას 59 სერტიფიცირებული პედაგოგი ჰყავს. რვა პედაგოგი მოხვდა საუკეთესო მასწავლებელთა სიაში და 1000-ლარიანი ხელფასი დაენიშნა. სკოლაში დოქტორის ხარისხით სამი პედაგოგი საქმიანობს, ხოლო სამი მასწავლებელი არავის უთმობს. სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოსთან და მათი დაფინანსებით დაიწყო სპარსული ენის ფაკულტეტური სწავლება. ამერიკის იურისტთა ასოციაციის ინიციატივით, განათლების რეფორმის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს პროგრამა „პრაქტიკული სამართალი“.

სკოლის მოსწავლეებმა საპრიზო ადგილები დაიკავეს სერვანტესის სახელობის სკოლა-ლიცეუმ „აია-გესს“ ლონდონის წმ. გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის (SG) ერთობლივ პროექტებში „საუკეთესო თარგმანი“.

ახალგაზრდული ევროპარლამენტის ეგიდით, 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში „აჩუქე წიგნი სამახსოვრო წარწერით შენს თანატოლს“. ისინი სენაკის ბავშთა სახლს წიგნებით დაეხმარნენ.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში — რამდენიმე მონოგრაფიისა და წიგნის ავტორია...

ამჟამად სკოლაში 2483 მოსწავლე სწავლობს. 2010-11 სასწავლო წელს შვიდ მოსწავლეს გადაეცა ოქროს მედალი, ხოლო თვრამეტს — ვერცხლისა.

ჟურნალი დაწვრილებით მოგვითხრობს სკოლის კონკურსებსა და პროექტებზე. პროექტში „ჩემი პირველი კომპიუტერი“ სკოლის მოსწავლეები ჯილდოს სახით პრეზიდენტისგან იღებენ ყველაზე მეტ პორტატულ კომპიუტერს. 51-ე საჯარო სკოლა ახალგაზრდული ევროპარლამენტის თანადამფუძნებელია. სკოლა სისტემატურად თანამშრომლობს სახალხო დამცველის ოფისთან და მის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში სკოლის კლუბი „რა, სად, როდის“ ქალაქში ჩემპიონის ტიტულს „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“ სკოლის გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.

სკოლას ჰყავს „NATO“-ს ეგიდით კონკურს „aliente“-ს სამივე ტურის გამარჯვებული მოსწავლე ნიკა ბაქრაძე.

სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, ხოლო მოსწავლეები წარმატებებს აღწევენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში. სკოლაში მრავალი საგანმანათლებლო ინოვაცია დაინერგა, შექმნილია სამოქალაქო კლუბი „CIVIC“-ი. 2009 წლიდან კი სკოლაში მოქმედებს მხარეთმცოდნეობის კლუბი „ვერელი ბედუინები“, რომლის შექმნა მიზნად ისახავდა ქვეყნის ისტორიითა და გეოგრაფიით მოსწავლეთა დაინტერესებას. სკოლაში რამდენიმე ათეული წელია შექმნილია და დღესაც აქტიურად მუშაობს ქორეოგრაფიული სტუდია უცვლელი თავკაცის გივი ბურდულის ხელმძღვანელობით.




საგულისხმო წარმატებებით არის გამორჩეული სკოლის სპორტული ცხოვრება. სკოლის ფეხბურთელების გუნდმა წარმატებით იასპარეზა მინი-ფეხბურთში „დისნეის თასზე“ და საქართველოს ჩემპიონი გახდა, ხოლო 2000 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა 2012 წელს ფლორიდის შტატში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში II ადგილი დაიკავა.

2005 წელს სკოლაში შექმნილმა კარატეს კლუბმა „ალიგატორმა“ საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს მრავალი ჩემპიონი აღზარდა. სპორტსა და ხელოვნებაში წარმატებული 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან: ანრი ბიწკინაშვილი, ვახტანგ კანტიძე, გიორგი წიბლიაშვილი, ანა ვედიაპინა, სანდრო გამრეკელაშვილი, ანი მიქაია, გიორგი კვარაცხელია, თამარ კუკავა, გიორგი ფშავლიშვილი, თენგიზ მღებრიშვილი, სანდრო ასლანიშვილი, ზურაბ კაჭარავა და სხვები.

ფერადი ფოტოებით ილუსტრირებული ეს ჟურნალი თითოეული ჩვენგანისთვის მართლაც, ძვირფასი შენაჩენია. სკოლის ფოტოსთან ერთად ჟურნალს ამშვენებს გალაკტიონ ტაბიძის ბარელიეფის სურათი. ბიძინა ავალიშვილის მიერ შექმნილი ეს ბარელიეფი ქალაქის მერიამ სკოლას საჩუქრად გადასცა 2011 წლის 18 ნოემბერს, როცა სკოლაში გაიმართა გალაკტიონის 120 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო და სკოლამ დაიბრუნა გალაკტიონის სახელი.

გალაკტიონის საღამოზე შედგა სკოლის ჰიმნისა და გერბის წარდგინება, რომლის ავტორები არიან: ლექსო ბენდელიანი და მანანა იმედიძე.

**თამარ შაიშმელაშვილი**



# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „ელმავალმშენებელი“ 2013 წლის 13 თებერვლიდან აცხადებს აუქციონს ფერადი ლითონის ჯართის რეალიზაციის შესახებ.**

**ლოტი №1 – სპილენძის ჯართი:**

**სუფთა ჯართი** – სავარაუდოდ 5 102 კგ. – საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 34 693.6 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**მაღალი ძაბვის სადენები** – სავარაუდოდ 3 330 კგ. – საწყისი სააუქციონო ფასი 43%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 12 907.08 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**დაბალი ძაბვის სადენები** – სავარაუდოდ 1 367 კგ. – საწყისი სააუქციონო ფასი 60%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 3 718.24 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**კოჭები, სექციები, კოლექტორები** – სავარაუდოდ 6 635 კგ. – საწყისი სააუქციონო ფასი 18%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 36 996.76 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე.

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე“, რომელიც წაგების შემთხვევაში მონაწილეს დაუბრუნდება უკან, ლოტის №1 სავარაუდო საერთო საწყისი ღირებულების, 88 315.68 დოლარი (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე, 10% – 8 831.57 დოლარი (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე შემდეგ რეკვიზიტებზე:

**USD-Account:** Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

**GEL-Account:** სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი“, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე“ არ დაუბრუნდება.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმი დღეების გარდა, 10-დან 15 საათამდე (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2013 წლის 5 მარტს 15 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

**აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. პირადობის მოწმობის ქსეროასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

**ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:**

ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 577 43-47-42, 593 922-802, 577-003-707.

**სს „ელმავალმშენებელის“ მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.


## ინფორმაცია

### გრიპის ვირუსი გვიტევს

**ექიმი-ინფექციონისტები** გრიპის ვირუსის გართულების თავიდან ასაცილებლად, მოსახლეობას ვაქცინაციისკენ მოუწოდებენ.

როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ხათუნა ზახაშვილმა განაცხადა, მიმდინარე წლის სეზონზე ღორის გრიპით სამი ადამიანი გარდაიცვალა. ლაბორატორიული კვლევის მიხედვით, 67 პაციენტს H1N1 შტამი დაუდგინდა, ხოლო 6 პაციენტს — B ტიპის გრიპი.

ხათუნა ზახაშვილის ინფორმაციით, გრიპით დაავადებული ადამიანი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს უნდა მოერიდოს. ასევე, სახლიდან არ უნდა გავიდეს სხეულის ტემპერატურის დარეგულირებიდან 24 საათის განმავლობაში.

პაციენტის ოთახი ხშირად უნდა განიავდეს და სველი წესით დამუშავდეს. პრევენციის მიზნით მოქალაქეებმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნიღაბი გამოიყენონ და ყველაზე მთავარი — ხშირად დაიბანონ ხელები.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, პრევენციის მიზნით სასურველია, მოქალაქეებმა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაიტარონ, რომელიც სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში 20-30 ლარი ღირს.

რაც შეეხება მწვავე რესპირატორული გრიპის სიმპტომატიკას — პაციენტს მოულოდნელად უწევს სხეულის ტემპერატურა, დამახასიათებელია ინტოქსიკაცია, თავის, სახსრებისა და კუნთების ტკივილი. იშვიათ შემთხვევაში ხველა და სურდო.

გრიპის შემთხვევები კლებას მარტის შუა რიცხვებიდან დაიწყებს.

### მარიამ არაქელოვას მკვლელობის საქმე გახსნილია

**შინაგან** საქმეთა სამინისტრომ მარიამ არაქელოვის მკვლელობის საქმე გახსნა. სამინისტროს ინფორმაციით, მკვლელობაში ბრალდებული, 1986 წელს დაბადებული სერგო მ. თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს.

— ბრალდებულმა 2013 წლის 1 თებერვალს, თბილისში, გ. ათონელის ქუჩაზე, ერთ-ერთი სახლის სადარბაზოს კიბის ქვეშ, ურთიერთშელაპარაკების დროს, გულმკერდის არეში დანით სასიკვდილოდ დაჭრა ამავე სახლში მცხოვრები, 1993 წელს დაბადებული მარიამ არაქელოვა. დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა, რის შემდეგაც, სერგო მ-მ იმავე დანით სხეულზე თვითდაზიანებები მიიყენა. დაკავებული ამ დრომდე თბილისის მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის საუნივერსიტეტო კლინიკაში, პოლიციის დაცვის ქვეშ იმყოფება. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სერგო მ. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიებას თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს 1-ელი განყოფილება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) აწარმოებს, რაც 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს,— ნათქვამია შს სამინისტროს ინფორმაციაში.

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვერნისაჟი

# თბილისი კვლავ ესალმება დიდოსტატს!

**ეროვნებით სომეხი, სულით ხორცამდე თბილისელი კაცის, საქვეყნოდ ცნობილი საბჭოთა კინორეჟისორის სერგო ფარაჯანოვის დაბადების დღეს მიეძღვნა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გასულ შაბათს გამართული ნამუშევართა გამოფენა.**

ვერნისაჟი „ბროწეულისფერი გამოფენა“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზაციით მოეწყო. მის გახსნას მინისტრი გურამ ოდიშარია დაესწრო.



ექსპოზიციაში წარმოდგენილია ხელოვნების სასახლეში დაცული სამი კოსტიუმი ფილმებიდან „ამბავი სურამის ციხისა“ და „ბროწეულის ფერი“, ამავე ფილმების ორი ესკიზი და ფარდაგები, ფოტოკოლაჟი და თოჯინა. ესაა და ეს, რაც სახელმწიფო კუთვნილებაშია დიდი კინოხელოვანის მემკვიდრეობიდან. დანარჩენი ექსპონატები – ქუდები, კოლაჟები, მარაო, თოჯინა კერძო კოლექციებიდან შეაგროვა სამინისტროს საერთაშორისო პროგრამებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ხათუნა ხუნდაძემ. ამის გარდა წარმოდგენილია ფილმების სცენარები და აფიშები.



გამოფენა 18 თებერვლამდე გასტანს.

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### რა საიდუმლო თათბირი გაიმართა ვანო მერაბიშვილის კაბინეტში ბიბლიოთეკასთან მომხდარ შეტაკებამდე?

მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე „ალიას“ უამბობს: „ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გათამაშებული პროვოკაცია იყო პირველი ნაბიჯი იმ კასკადისა, რაც ვანო მერაბიშვილის კაბინეტში დაიგეგმა. ამ ადამიანის კაბინეტში გაიმართა თათბირი, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ესწრებოდნენ. იქ პირდაპირ ითქვა ასეთი რამ: ჩვენ მოსახლეობის მხარდაჭერა არ გვაქვს, ამიტომ ამ ეტაპზე პროვოკაციების საშუალებით უნდა მოვახდინოთ ხელისუფლების დისკრედიტაცია და შემდგომში ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა. არსებობს გეგმა, რომლის მიხედვითაც სიტუაცია უკიდურესად უნდა დაიძაბოს გაზაფხულის ბოლოს.

**„ალია“**

### საქართველოში უმაღლესი განათლება უფრო „ძვირი ღირს“ ვიდრე მეზობელ ქვეყნებში

მომავალი წლიდან სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებში სწავლის ღირებულება იმატებს, თუმცა უკვე გადაწყვეტილია, რომ ეს მოსახლეობის ჯიბეზე არ აისახება და დაფინანსება მხოლოდ სახელმწიფოს გაეზრდება. რა სიტუაციაა ამ მხრივ მეზობელ ქვეყნებში, რა ღირს იქ უმაღლესი განათლების მიღება? აღმოჩნდა, რომ იქ სწავლა უფრო იაფია, ვიდრე ჩვენთან.

მაგალითად, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასური მეტ-ნაკლებად პრესტიჟულ ფაკულტეტებზე წლიურად ყველაზე ძვირი – 6950 ლარია, რუსეთში მაქსიმუმ – 4500 ლარია, აზერბაიჯანში – 6150 ლარი, სომხეთში კი – 3075 ლარი. რაც შეეხება უკრაინას, იქ სწავლის ყველაზე დიდი საფასური, დაახლოებით, 3980 ლარს შეადგენს.

**„რეზონანსი“**

### 28 თებერვალს რომის პაპი გადადგება

28 თებერვალს რომის პაპი ბენედიქტ მეთექვსმეტე გადადგება. ჯერჯერობით უცნობია, რატომ მიიღო რომის პაპმა მოულოდნელი გადაწყვეტილება. გავრცელებული ინფორმაციით, პაპმა ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადაწყვიტა გადადგომა. 85 წლის ბენედიქტ მეთექვსმეტე 2005 წლის აპრილში აკურთხეს ვატიკანში, იოანე პავლე მეორის გარდაცვალების შემდეგ. უცნობია თუ ვინ შეცვლის მას. კათოლიკური სამყაროს უახლოეს ისტორიაში მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ბოლო ჩანაწერი, როდესაც პაპმა პაპობაზე უარი თქვა, მე-15 საუკუნეშია გაკეთებული. 1415 წელს გრიგორი მეთორმეტემ რომის პაპის თანამდებობა დატოვა.

**„ახალი თაობა“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

## ყურადღება!

საქართველოს ბიზნესის, ეკონომიკის, პოლიტიკისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების აკადემოკოსების ერთობლივ ფორუმზე 2013 წლის 15 თებერვალს (პარასკევს) 13 საათზე საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში (ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45, VI სართული) ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნოდარ ჭითანავა** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე:

**„ქვეყანას სჭირდება აგრარული მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია“.**

დასწრება თავისუფალია, მობრძანდით პირადობის მოწმობით.

**ფორუმის კოორდინატორი, აკადემიკოსი ალექსანდრე კუჭუხიძე**

დაიჯესტი

## კარიბის ზღვის „ატლანტიდა“?

**კუბის ნაპირებთან, წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის დროს, მეცნიერებმა... წყალქვეშა ქალაქს მიაგნეს, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, შესაძლოა... მითიური ატლანტიდა იყოს!**

700 მეტრის სიღრმეზე რობოტმა ფსკერზე პირამიდები, ქუჩებისა და სახლების ნანგრევები გადაიღო.

– მართალია, ფოტოზე რაღაც ნაგებობათა ნანგრევები ჩანს, მაგრამ ყველაფერი დეტალურ შესწავლას მოითხოვს, – აცხადებენ მეცნიერები. – საქმე ისაა, რომ ამავე რაიონში დაახლოებით 10 წლის წინათ უკვე აღმოჩენილი იყო წყალქვეშა ქალაქის ნანგრევები, ამდენად, შესაძლოა, ეს მისი ნაწილი იყოს.

კადრი



ანეკდოტები

**– ქალბატონო თქვენი მეზობელი ვარ. იქნებ მტვერსასრუტი მათხოვოთ?**

**– ღვთის გულისათვის, ნუ მიწყენთ, მაგრამ ქმარი არ მაძლევს რაიმეს განათხოვრების უფლებას. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ მტვერსასრუტით ჩვენს ბინაში.**

* * *

**ავიაკომპანიის დირექტორი კიცხავს ხომალდის მეთაურს:**

**– თუ შეიძლება, სამომავლოდ, ვიდრე მგზავრებს მიმართავდეთ, სიტყვები შეარჩიეთ.**

**– კი, მაგრამ რა მოხდა?**



**– ამ დღეებში, როდესაც აეროპორტში დასაშვებად გქონდათ კურსი აღებული, თქვენ მგზავრებს ასე მიმართეთ: „ვიდრე მიწაზე დავეშვებოდეთ, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და გამოგემშვიდობოთ!?“**

* * *

**მიმდინარეობს სასამართლო სხდომა. ადვოკატი თავისი დაცვის ქვეშ მყოფს ხმადაბლა ეუბნება:**

**– უკვე რაც ვიცი, მეტი რა ვქნა! ყველაფერი, რისი თქმაც თქვენს სასარგებლოდ შეიძლებოდა, ნათქვამია...**

**– იქნებ ჩემი დანაშაული დაიბრალო?**

* * *

**წინასაარჩევნო თეზისებიდან:**

**„მშვიდობა – ხალხებს, მიწა – გლეხებს, „მერსედესი“ – სადარბაზოებთან!“**

* * *

**ორი მოჩვენება ძველ ციხე-სიმაგრეში სეირნობს. უცებ იატაკი აჭრიალდა და ერთ-ერთი მოჩვენება შიშისგან შეხტა. მეორე მას აწყნარებს:**

**– ნუთუ კიდევ გჯერა ზღაპრებისა ცოცხლების შესახებ?**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com